ევროკავშირი საქართველოსთვის

german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

DW Akademie

CAUCASUS OPEN SPACE

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო გარემოს სიღრმისეული ანალიზი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო გარემოს სიღრმისეული ანალიზი

ავტორები და გამოცემაზე
პასუხისმგებელი პირები:
ირმა პავლიაშვილი
თეონა მაჭარაშვილი

თბილისი, საქართველო, 2024

„2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო გარემოს სიღრმისეული ანალიზი“

კვლევის ავტორები და გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ირმა პავლიაშვილი და თეონა მაჭარაშვილი

კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ: გვანცა საკანელაშვილი, თამარ საძაგლიშვილი, ილონა დიასამიძე, ჯემალ ჭკადუა, ელენე ნიჟარაძე

მადლობა: ორგანიზაცია მადლობას უხდის სადამკვირვებლო მისიის წევრებს, დამკვირვებლებს, იურისტებს, ჟურნალისტებსა და სხვა პარტნიორებს.

დიზაინი/დაკაბადონება: ღია სივრცე კავკასია (COS)

© აკრძალულია დოკუმენტში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ თანხმობის გარეშე.

კვლევა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით. მისი შინაარსი „ღია სივრცე კავკასიის“ პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს ევროკავშირის და გერმანიის ფედერალური სამინისტოს შეხედულებებს.

თბილისი, 2024

სარჩევი

შესავალი *4*

კვლევის ჩარჩო და სახელმძღვანელო სტანდარტები *6*

კვლევის მეთოდოლოგია *7*

საქმიანობის მოკლე აღწერა *8*

კვლევის შეზღუდვები *9*

მიგნებების შეჯამება და რეკომენდაციები *11*

საკანონმდებო ჩარჩო *13*

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, გადაწყვეტილების მიღების წესი და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები 13

გენდერული კვოტის გაუქმება 17

რუსული კანონი 19

ოფშორების კანონი 21

ჰომოფობიური ე.წ. ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონი 23

წინასაარჩევნო გარემო *23*

სისტემის მიერ გამოხატული ძალადობის ნიშნები 25

ამომრჩევლების განწყობები და საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზება 26

სადამკვირვებლო ორგანიზაციების სამუშაო გარემო 27

მედია გარემო 28

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა 28

დეზინფორმაცია და პროპაგანდა 29

ადმინისტრაციული რესურსი - სამართლებრივი/ინსტიტუციური და ფინანსური ადმინისტრაციული რესურსები 30

სამართლებრივი/ინსტიტუციური რესურსები 30

საარჩევნო ადმინისტრაცია 31

კენჭისყრის დღე და შემდგომი პერიოდი *37*

არჩევნების დღის სისტემური დარღვევები და საარჩევნო დავები 37

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა 38

დამკვირვებლის საქმიანობისთვის ხელის შეშლა 39

ფიზიკური ძალადობა და მუქარა 39

ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი 40

არაუფლებამოსილი პირები საარჩევნო უბნებთან 40
ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესზე დაკვირვების შეუძლებლობა 40
მარკირების პროცედურების დარღვევა..... 41
განმეორებით ხმის მიცემა 41
აგიტაცია კომისიის წევრების მიერ..... 42
ამომრჩეველზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა..... 42
გადასატან ყუთთან დაკავშირებული პრობლემები 42
ე.წ. გონგო სადამკვირვებლო ორგანიზაციები..... 43
საზღვარგარეთის უბნებთან დაკავშირებული პრობლემები..... 43
პრეზიდენტის საკონსტიტუციო სარჩელი 45
დასკვნა..... 47

შესავალი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, რომლის თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხს, ისე საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გამოხატული ხალხის ნების აღსრულებას წარმოადგენდა. ეს არჩევნები რამდენიმე მხრივ იყო უპრეცედენტო: პირველად ისტორიაში საქართველოს პარლამენტის წევრები სრულად **პროპორციული სისტემით აირჩიეს, ამომრჩეველთა დაახლოებით 90%-მა ელექტრონული საშუალებებით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა**. თუმცა, ამ არჩევნების უმთავრესი მნიშვნელობა იმ ისტორიულ შესაძლებლობას უკავშირდებოდა, რომელიც საქართველოს არსებული გეოპოლიტიკური ვითარების შედეგად მიეცა - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა.

„არჩევნებს შეუძლია გააძლიეროს დემოკრატია, ქვეყნის განვითარება, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება, ან ძირი გამოუთხაროს მათ.“[1]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო უნდა აღიარებდეს და იცავდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, რადგანაც სახელმწიფო შებოჭილია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით - სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების განმტკიცებაზე. ხელისუფლების წყაროა ხალხი და მისი ნების გამოხატვის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია - პერიოდული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები.[2]

არჩევნების სამართლიანობა თავის მხრივ მოიცავს თავისუფალ, ინკლუზიურ, თანასწორ და კონკურენტულ საარჩევნო გარემოს, სადაც დაცულია ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, უზრუნველყოფილია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულობის სტანდარტები, ამომრჩევლები ენდობიან არჩევნების შედეგებს.

[1] IDEA, The Integrity of Elections. International Institute for Democracy and Electoral Assistance 2012, ბმული
[2] საქართველოს კონსტიტუცია

სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები დამოკიდებულია **გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაზე, გაერთიანების თავისუფლებაზე, გადაადგილების თავისუფლებაზე და, რა თქმა უნდა, შიშის/კონტროლის არარსებობაზე.** იგი დამოკიდებულია **გამჭვირვალე საარჩევნო პროცესზე, მიუკერძოებელ საარჩევნო კანონმდებლობასა და სისტემებზე, ყველა მონაწილისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საარჩევნო კომისიებზე, ზეწოლისა და მუქარის არარსებობაზე** საარჩევნო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე, **დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდით და დასრულებული არჩევნების შედეგების შეჯამებით.**[3]

კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ფარგლებში ევროკავშირმა მე-4 ნაბიჯით სწორედ ამ პრინციპზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქვეყანამ უნდა „მოახდინოს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა - **განსაკუთრებით 2024 წელს** (...)“[4]

წინამდებარე კვლევაში **„2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო გარემოს სიღრმისეული ანალიზი“** წარმოდგენილია სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზი - რამდენად დაცულია არჩევნების მთლიანობა, საუბარია არჩევნების მარეგულირებელი-პოლიტიკური ჩარჩოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მთავარი გამოწვევების, საკანონმდებლო, პოლიტიკური და დაფინანსების, აგრეთვე დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის ასპექტების საკითხებზე. იმ სისტემურ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა **წინასაარჩევნო, კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდში და რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან. გამოვლენილი ფართომასშტაბიანი, სისტემური დარღვევები დასაბუთებულ ვარაუდს აჩენს არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით.**

[3] არჩევნები და უსაფრთხოება, ანალიტიკური სტატია. ღია სივრცე კავკასია. ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[4] დოკუმენტი ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

კვლევის ჩარჩო და სახელმძღვანელო სტანდარტები

კვლევის ჩარჩო ეფუძნება ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც ასახულია როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონმდებლობაში[5], ისე საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებში. თავის მხრივ, აღნიშნული მემკვიდრეობა ემსახურება პერიოდული არჩევნების ჩატარებას თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში, რისი წინაპირობებია:

- **საყოველთაო;**
- **თანასწორი;**
- **თავისუფალი;**
- **ფარული და**
- **პირდაპირი კენჭისყრა.**

აღნიშნული პრინციპები ასევე მოიცავს **საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობათა თანასწორობას**, რაც უნდა მოიცავდეს **თანაბარ შესაძლებლობებს როგორც დაფინანსების, ისე გაშუქებაზე წვდომის კუთხით და რათქმაუნდა - თანაბარ და სამართლიან ხელმისაწვდომობას სამართლიან სასამართლოზე და სამართლიან გარემოს სხვადასხვა საარჩევნო ინსტიტუციებში.**

გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ხელისუფლების საფუძველია ხალხის ნება, რომელიც უნდა გამოვლინდეს პერიოდულ არჩევნებში. სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის არჩევნების პერიოდულობა. იგი განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით, რომელიც კონსტიტუციით ან კანონით არის დადგენილი. არჩევნების პერიოდულობა ამომრჩეველს არჩეულ პირებზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს: მას საშუალება ეძლევა ზუსტად დადგენილი პერიოდულობით განაახლოს წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა, ხელახლა აირჩიოს ადრე არჩეული პირი, თუ კმაყოფილია მისი საქმიანობით, ან აირჩიოს სხვა, თუ მან მისი ნდობა დაკარგა. იგივე უნდა ითქვას, როდესაც საქმე ეხება საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის არჩევნებს. ასეთი წესი აიძულებს პოლიტიკურ პარტიებსა და არჩეულ პირებს მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები, დაარწმუნონ ისინი თავისი პოლიტიკის სისწორეში და ა.შ.

ამავდროულად, უშუალოდ ელექტრონული საშუალებებით არჩევნების ჩატარების პრინციპებს განსაზღვრავს ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო რეკომენდაციები.[6]

---

[5] საარჩევნო კოდექსი, მე-3 მუხლი

[6] ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

რომელთა მიხედვითაც არსებითია ხმის მიცემის სისწორისა და გადამოწმების, ე.წ. ქაღალდის კვალის, ფარულობის, უსაფრთხოებისა და სანდოობის პრინციპების დაცვა.

კერძოდ, ამომრჩეველს **ხმის მიცემისთანავე უნდა შეეძლოს მისი სისწორის გადამოწმება**. ცხადია, რომ ასეთი მეთოდით კენჭისყრის დროს მნიშვნელოვანია, ბიულეტენების ფორმატი ითვალისწინებდეს ნებისმიერი შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილებას. იმისათვის, რომ გასაჩივრების შემთხვევაში გაიოლდეს **გადამოწმებისა და ხმების გადათვლის პროცესი**, არსებითია **ქაღალდის კვალის არსებობა** - დასაშვებია იმის მოთხოვნა, რომ შესაძლებელი იყოს მიცემული ხმის მანქანიდან ბიულეტენზე ამობეჭდვა. ასეთი ბიულეტენები უნდა განთავსდეს დალუქულ გაუმჭვირვალე ყუთში, რაც უზრუნველყოფს **კენჭისყრის ფარულობას. ელექტრონული საშუალებებით ხმის მიცემის მეთოდები უსაფრთხო და სანდო უნდა იყოს.** ისინი **უსაფრთხოა, თუ სისტემა სათანადოდაა დაცული განზრახ ჩარევისაგან და სანდოა, თუ მათი ფუნქციონირება გამართულია და დაზღვეულია ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი ხარვეზისაგან.** გარდა ამისა, **ამომრჩეველს უნდა შეეძლოს დარწმუნდეს მის მიერ მიცემული ხმის სიზუსტეში და, თუ აუცილებელია, შეასწოროს იგი ისე, რომ არ მოხდეს კენჭისყრის ფარულობის რამენაირი დარღვევა.**

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა მეთოდოლოგიურად მოიცავს სამაგიდო, რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. კვლევის ფარგლებში მოხდა 2024 წლის საარჩევნო გარემოს სიღრმისეული, სისტემური და ყოვლისმომცველი ანალიზი - რამდენად დაცულია არჩევნების მთლიანობა წინასაარჩევნო, კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდში. კვლევის ფარგლებში მიმოხილულია და გაანალიზებულია არჩევნების მარეგულირებელი-პოლიტიკური ჩარჩო, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მთავარი გამოწვევები, საკანონმდებლო, პოლიტიკური და დაფინანსების, აგრეთვე დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის ასპექტები. ყურადღება გამახვილებულია იმ სისტემურ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა **წინასაარჩევნო, კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდში და რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან.**

შესაბამისად, კვლევის ფარგლები და პერიოდი არ მოიცავს მხოლოდ საარჩევნო წლის მოვლენებს და ფაქტებს. მასში ასახულია და გაანალიზებულია ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც უკავშირდება მმართველის პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭირვალობის

შესახებ“ [7]კანონის განხილვაში დაბრუნებას და დამტკიცებას. მოვლენებს და ქმედებებს, რომლემსაც უარყოფითი გავლენა ჰქონდათ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის ხარისხზე.

საქმიანობის მოკლე აღწერა

წინასაარჩევნო პერიოდის კვლევა განხორციელდა ტრიანგულაციით და ეფუძნება ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას და სამაგიდო კვლევებს.

ღია სივრცე კავკასია პირისპირ შეხვდა 150-მდე მოქალაქეს, ხოლო ონლაინ - 150-მდე მოქალაქეს 10-ზე მეტ ქალაქში (სულ 300-მდე მოქალაქეს, თბილისი, სიღნაღი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე, ამბროლაური, ხარაგაული, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი, მათგან 100-მდე საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეს, მათ შორის ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე). შეხვედრები ტარდებოდა ფოკუს ჯგუფების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და თავისუფალი დისკუსიების ფორმატში.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები, ის ცვლილებები რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა და რომელთაც პირდაპირი და ირიბი გავლენა ჰქონდათ საარჩევნო/პოლიტიკურ გარემოზე და საარჩევნო პროცესში ჩართული უწყებების მიერ ამ ცვლილებების შედეგად განხორციელებული საქმიანობა და მიღებული გადაწყვეტილებები.

ღია სივრცე კავკასია აკვირდებოდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს კოალიცია ჩემი ხმის (We vote-ს) ფარგლებში, შესაბამისად, არჩევნების დღეს, ორგანიზაცია ინფორმაციას საქართველოში 1131 და საზღვარგარეთ 48 საარჩევნო უბნიდან აგროვებდა, საუბნო, საოლქო საარჩევნო დამკვირვებლებისა და მობილური ჯგუფების მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და მტკიცეუბლებების საფუძველზე. უშუალოდ ღია სივრცე კავკასიამ, ხანგრძლივი გადარჩევის პროცესის შემდგომ, ცესკოში 600-ზე მეტი დამკვირვებელი დაარეგისტრირა. არჩევნების შემდგომ პერიოდში, ორგანიზაცია ჩართული იყო საარჩევნო დავების პროცესში.

ორგანიზაციამ შეიმუშავა საარჩევნო დარღვევებზე დავების წარმოების სტრატეგია. კოალიციის წევრ პარტნიორებთან ერთად, ღია სივრცე კავკასიამ საჩივარი 29

[7] დოკუმენტი ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

საარჩევნო ოლქში, 246 საარჩევნო უბნის ბათილობის მოთხოვნით წარადგინა, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 417'305 მოქალაქეს შეადგენდა. შესაბამისად, კვლევის შედეგები, სამაგიდო კვლევასა და თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზთან ერთად, დაეფუძნა ღია სივრცე კავკასიის საარჩევნო პროგრამის მიერ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში გამოკვეთილ მიგნებებსა და გამოწვევებს.[8]

კვლევის შეზღუდვები

ე.წ. „რუსული კანონის"[9] მიღებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო გარემოზე, სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობასა და მოქალაქეებზე.

კანონს, მიღების პირველივე დღეებში, ჰქონდა მსუსხავი ეფექტი სამოქალაქო საზოგადოებაზე - მოქალაქეებმა დაიწყეს თავის შეკავება არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან კომუნიკაციისგან - განსაკუთრებით, რეგიონებსა და მცირე ზომის დასახლებებში. ხშირ შემთხვევაში, ხდებოდა დაგეგმილი შეხვედრების გაუქმება, ასევე, იმ პირების მიერ თავშეკავება შეხვედრებზე მონაწილეობისგან, ვისაც დაადასტურებული ჰქონდა მონაწილეობა ღონისძიებებში. აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა წინასაარჩევნო გარემოში.

ამავდროულად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ზეწოლა და დაშინება საჯარო მოხელეების და იმ პირების მიმართ, ვინც რაიმე ფორმით ფინანსურად დამოკიდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტზე და მათი გამოყენება მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის სახით ხდებოდა - მათ შორის, სოციალურად დაუცველი, მუნიციპალური ააიპ-ებისა და სსიპების წარმომადგენლები. აღნიშნულმა ტენდენციამაც გაართულა ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნები, წინა წლებში ჩატარებულ არჩევებზე პილოტირების მიუხედავად,

[8] კვლევის, საარჩევნო დაკვირვებისა და გასაჩივრების პარალელურად, ღია სივრცე კავკასია ჩართული იყო ცნობიერების ამაღლების კამპანიაში, რათა მოსახლეობისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ელექტრონული საშუალებებით ხმის მიცემის ახალი პროცედურების, მათი საარჩევნო უფლებების, ძალადობისგან თავის დაცვის მექანიზმებზე. საინფორმაციო კამპანიის ნაწილია ღია სივრცე კავკასიას ციფრული აკადემია: https://cosacademy.ge და პარტნიორებთან ერთობლივად შემუშავებული ონლაინ ციფრული გამოცემა ka.maisi.news და maisi.news

[9] კანონი ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

პირველად ჩატარდა ამ მასშტაბით (დაახლოებით 90%-ი ამომრჩეველის მონაწილეობით). პილოტირების მცირე მასშტაბებთან ერთად, სუბიექტებს შორის კონკურენციაც დაბალი იყო (პოლიტიკური პროტესტის ან მონაწილეობის სურვილის არ არსებობის გამო) შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა შედარებითი ანალიზის შესაძლებლობის ნაკლებობა იყო.

არჩევნების დღეს, კოალიცია ჩემი ხმის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სადამკვირვებლო მისიების მონაცემების თანახმად, დამკვირვებლების უფლებების სისტემური შეზღუდვის გამო,[10] გარკვეულ წილად შეიზღუდა დაკვირვების შესაძლებლობა.

არჩევნების შემდგომ პერიოდში, ასობით უბანთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელის გაერთიანება მოხდა, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოებში (თბილისი, ქუთაისი) სხდომა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სასამართლო სხდომები თითქმის ყველა სარჩელთან დაკავშირებით, ერთსა და იმავე საათზე ჩაინიშნა. ამავდროულად, სასამართლო დარბაზებში არ იყო სათანადო შესაძლებლობა მედიისა და გარე პირების დასწრებისთვის. რამაც დამატებით შეზღუდა სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შესაძლებლობა.

აღნიშნული მნიშვნელოვანი შეზღუდვები საჭიროებს კვლევის მიგნებების ანალიზს სხვა კვლევებთან და მტკიცებულებებთან ერთობლიობით. თუმცა, შეზღუდვების მიუხედავად, კვლევის ფარგლებში შეგროვდა საფუძვლიანი, სისტემური მტკიცებულებები და ინფორმაცია, რაც იძლევა შესაძლებლობას, კვლევაში წარმოდგენილი იყოს სრული სურათი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

[10] საარჩევნო უბნებზე მტრული გარემო დამკვირვებლებისთვის - არაიდენტიფიცირებული ძალადობრივი ჯგუფები აკონტროლებდნენ როგორც უბნების გარე პერიმეტრს, ისე ხშირ შემთხვევაში, უბნებში წარმართულ პროცესებს, ხოლო ძალადობის შეტყობინებებზე სამართალდამცავებს არ ჰქონდათ რეაგირება. არჩევნების დღის მეორე ნახევარში, აუცილებელი გახდა დამკვირვებლების გამოყვანა რიგი უბნებიდან, დამკვირვებლების ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად) და საუბნო საარჩევნო კომისიებში მოწყობის წესის დარღვევის (უბნების 19%-ზე რეგისტრატორების მაგიდები იყო მოწყობილი ისე, რომ დამკვირვებლებისთვის შეუძლებელი იყო რეგისტრაციის პროცესის დაკვირვება.

მიგნებების შეჯამება და რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები: „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებამდე გაცილებით ადრე დაიწყო მზადება, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის იმგვარი ცვლილებით, რომლის საერთო მიზანი კანონმდებლობის მმართველი პარტიის ინტერესებზე მორგება იყო. ელექტრონული წესის გარდა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, მრავალი საკანონმდებლო ცვლილების ფონზე წარიმართა, რამაც გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო გარემოზე. მათ შორისაა ე.წ. „რუსული კანონი“, კანონი ოფშორების შესახებ, გენდერული კვოტების გაუქმება, ჰომოფობიური კანონმდებლობა, ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში და სხვა. რომელთა მიღების პროცესი საერთაშორისო სტანდარტების დარღვევითა და ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე წარიმართა.[11]

2024 წლის აპრილში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის („რუსული კანონი“) მიღებით საქართველოს ხელისუფლება ღიად დაუპირისპირდა ყველა იმ ძირეულ პრინციპს და ღირებულებას, რომელსაც ეყრდნობა ევროკავშირი. ამ მოქმედებებით, ხელისუფლებამ ევროკავშირის მიერ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის დე-ფაქტო შეჩერებას მიაღწია.[12]

თუმცა წინასაარჩევნო პერიოდი ჯერ კიდევ მარტიდან გართულდა, არჩევნებამდე 8 თვით ადრე, როდესაც „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მასშტაბური პროტესტი დაიწყო. პროტესტი აქტივისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ჟურნალისტების, პოლიტიკური პარტიების, და პროტესტის მონაწილე მოქალაქეების წინააღმდეგ ზეწოლის, დაშინების, სიტყვიერი და რიგ შემთხვევებში - ფიზიკური ძალადობის ფონზე მიმდინარეობდა.

არსებულმა ძალადობრივმა გარემომ თვისებრივად და ხარისხობრივად ახალი გამოწვევები შეუქმნა დამკვირვებლებსა და მედიას, რამაც გაართულა მათი საქმიანობა როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდში.

კენჭისყრის დღე მძიმე და არსებითი დარღვევების ფონზე წარიმართა. საარჩევნო პროცესის მონიტორინგისას გამოკვეთილი დარღვევები ერთიანი სქემის ნაწილი იყო. შემუშავებული იყო არჩევნების გაყალბების კომპლექსური სქემა, რომელმაც არსებითი

---

[11] საარჩევნო კანონმდებლობაში ნებისმიერი ცვლილება, სხვა მოთხოვნებთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, რომ ის ფართო კონსენსუსის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი - რომელსაც ვენეციის კომისია განამტკიცებს - საარჩევნო კანონმდებლობა სტაბილური უნდა იყოს და ხშირ ცვლილებებს არ უნდა ექვემდებარებოდეს, განსაკუთრებით საარჩევნო წელს. მმართველი პარტიის საკანონმდებლო პოლიტიკა მიმდინარე წელს ამ პრინციპთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის.

[12] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

გავლენა არჩევნების შედეგებზე მოახდინა და ის არ არასახავს საქართველოს მოქალაქეების ნებას.

არჩევნების მასიურად გაყალბებისა[13] და განვითარებული კრიზისის ფონზე, ოპოზიციურმა პარტიებმა შედეგი არალეგიტიმურად გამოაცხადეს, ხელისუფლება არაკონსტიტუციურად და პროპორციული სიები ჩახსნეს, ასევე მიმართეს საქართველოს პარლამენტს მანდატების გაუქმების თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტმა შედეგები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განუხილველად დატოვა საქართველოს პრეზიდენტის სარჩელი, რითაც უგულვებელყო დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამეტული პრინციპები. არსებულმა გადაწყვეტილებამ სამართლებრივი და პოლიტიკური კრიზისი გააღრმავა. „ქართლმა ოცნებამ" მე-11 მოწვევის საქართველოს პარლამენტის 25 ნოემბრის პირველი პლენარული სხდომის შემდგომ, მოკლე დროში მიიღო გადაწყვეტილება 2028 წლამდე შეეჩერებინა ევორკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები, აღნიშნულს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი პროტესტი მოჰყვა. რასაც ხელისუფლებამ სისტემური ძალადობა შეუპირისპირა.[14] **ხელისუფლება არალეგიტიმურად საერთაშორისო პარტნიორებმა და საზოგადოებამაც ცნო.[15]**

ძირითადი რეკომენდაციები: კვლევაში წარმოდგენილი ადამიანის უფლებების დარღვევის და დემოკრატიის ხარისხის გაუარესების მძიმე ფაქტების, არჩევნების გაყალბების სისტემური სქემისა და დამკვირვებლების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას რომ მნიშვნელოვანია:

- შეწყდეს ადამიანის უფლებების დარღვევის, გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრება-მანიფესტაციის უფლების რეალიზების შეზღუდვის, ადამიანის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები;[16]
- გაიმართოს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ჩატარდება სამართლიანი წესით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციით, სამართალდამცავი უწყებების (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო) პოლიტიკური ნეიტრალურობის უზრუნველყოფით.

[13] სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[14] სისტემური ძალადობა, ონლაინ მედია პლატოფმა მაისი.ნიუსი
[15] საერთაშორისო შეფასება ხელმისაწდვომია ამ ბმულზე
[16] ონლაინ მედია გამოცემა მაისი.ნიუსი

საკანონმდებო ჩარჩო

„ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებამდე გაცილებით ადრე დაიწყო მზადება, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის იმგვარი ცვლილებით (როგორც სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება), რომლის საერთო მიზანი კანონმდებლობის მმართველი პარტიის ინტერესებზე მორგება იყო.

“რუსული კანონის” მიღება, ოფშორების კანონი, ჰომოფობიური, ე.წ. ოჯახის სიწმინდის დაცვის კანონის ინიციირება, ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, მიმართული იყო საქართველო-ევროკავშირის საერთო შეთანხმებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ძირეული პრინციპებისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების წინააღმდეგ, ისინი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მოქალაქეთა ნებასთან - ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის თაობაზე.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, გადაწყვეტილების მიღების წესი და სხვა მნიშნველოვანი ცვლილებები

2024 წლის თებერვალ-მარტში, „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა საარჩევნო ცვლილებების კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროკომისიის მიერ საქართველოზე გაცემულ 9 რეკომენდაციას. ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებას, პრეზიდენტის მონაწილეობას დაკომპლექტების პროცესში, საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილების მიღების წესს, საარჩევნო დაფინანსებასა და ანტიკორუფციულ ზომებს და სხვ. კერძოდ:

- **საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი დაკომპლექტება:** ცვლილებების მიხედვით, მმართველ პარტიას კონსენსუსის გარეშე შეუძლია, ცალმხრივად დააკომპლექტოს ცესკოს წევრები და აირჩიოს ცესკოს თავმჯდომარე 5-წლიანი სრული ვადით, 76 ხმით. ასევე, შეზღუდულია პრეზიდენტის უფლებამოსილებები ცესკოს დაკომპლექტებაში და გაუქმებულია ოპოზიციისთვის განკუთვნილი, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია (რომელსაც 2021 წლიდან პარტია „ლელოს“ წარმომადგენელი იკავებდა). აღნიშნული ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის 2023 წლის დეკემბრის დასკვნას. დასკვნის მიხედვით, აუცილებელია ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის დროს კონსენსუსის არსებობა და 2/3-

იანი კვოტის გათვალისწინება (რაც ასევე გათვალისწინებული იყო 2021 წლის 19 აპრილის შარლ-მიშელის მიერ ფასილიტირებული შეთანხმებით).[17]

- **ცესკოს გადაწყვეტილების მიღების წესი:** 2024 წლის ივნისში ძალაში შევიდა საარჩევნო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვითაც ცესკოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას აღარ სჭირდება სრული შემადგენლობის არაკანლებ ორი/მესამედი - 12 ხმა, თუ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, იმავე სხდომაზე ეყრება მას კენჭი და მხოლოდ ცესკოს შემადგენლობის უმრავლესობა (9 ხმა) იქნება საჭირო. ცვლილების შედეგად გაუარესდა გადაწყვტილების მიღების პროცესში ოპოზიციური პარტიების მიერ წარდგენილი წევრების მონაწილეობის ხარისხი და გაიზარდა შესაძლებლობა ერთპარტიული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე (8 პროფესიულ წევრს დამატებული მმართველი პარტიის წარმომადგენელი).
- **ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის გაუქმება:** ცვლილებებით გაუქმდა ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ შერჩეული ექსპერტები (ადგილობრივი და საერთაშორისო) და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი შედიოდა. თუმცა ჯგუფს არ უმუშავია, სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა 2021 წელს დატოვეს, მას შემდგომ რაც ცესკომ ცვლილება შეიტანა ჯგუფის დაკომპლექტებისა და გადაწყვეტილების მიღების წესში და კონსენსუსი შეცვალა სრული შემადგენლობის 2/3-ით. ჯგუფმა ფუნქციონირება შეწყვიტა და 2021 წლის სექტემბერში დაიშალა.
- **"დელეგატების" ინსტიტუტის შემოღება:** 2024 წლის მაისში პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში კიდევ ერთი ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმად, პარტიას მიეცა უფლება საპარლამენტო სიაში შეყვანილი პირი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა დელეგატად განსაზღვროს. ამ ცვლილების მიზანი ის იყო, რომ ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატების იდეა ახლა უკვე ე.წ. დელეგატებით ყოფილიყო ჩანაცვლებული, რათა მმართველ 7პარტიას მისცემოდა შესაძლებლობა, რეგიონებში საკუთარი თავის ასოცირება მოეხდინა გარკვეული ლოკალური გავლენების მქონე პირებთან. მათ ხშირად ადგილობრივ "ფეოდალებს" უწოდებენ ხოლმე და მათ ხელთ არსებული ფინანსური თუ სხვა რესურსების გამო ისინი მოსახლეობაში მეტნაკლები მხარდაჭერით სარგებლობენ. რადგან ოპოზიციური პარტიების განკარგულებაში ასეთი პირები პრაქტიკულად არ არიან - ისინი, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის ხელისუფლებაში მყოფი ძალის მხარეს დგანან ხოლმე - ცხადია, რომ ეს ცვლილება ექსკლუზიურად მმართველი პარტიის სასარგებლოდ იმუშავებს.
- **საარჩევნო დაფინანსება და ანტიკორუფციული ზომები:** ცვლილებების მიხედვით, ატიკორუფციულ ბიუროს უფლება მიეცა ფიზიკური პირების

[17] ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის 2023 წლის დეკემბრის დასკვნა ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

გამოკითხვის უფლებამოსილება, განისაზღვრა სასამართლო წესით გამოკითხვის საკითხი. აგრეთვე, პერსონალური და განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაციის გამოთხოვის საკითხი. აგრეთვე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება, ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე, გააუქმოს პარტიის რეგისტრაცია, თუ ეს უკანასკნელი ზედიზედ ორი კალენდარული წლის განმავლობაში ბიუროს არ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას, ან ყველა წარდგენილ დეკლარაციაში შემოსავლები და ხარჯები ნულის ტოლია. ასეთ შემთხვევებში, პარტიის დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას. თუმცა კანონმდებელმა იქვე არ გააჩინა მკაფიო ჩანაწერი პარტიის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ. [18]

გაცილებით ადრე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონში 2022 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ანტიკორუფციული ბიურო.** ცვლილებების ფარგლებში მოხდა კორუფციის პრევენციული მექანიზმების ერთი უწყების ქვეშ გაერთიანება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებასთან ერთად, პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგი სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გადავიდა ანტიკორუფციულ ბიუროზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ანტიკორუფციული სააგენტოს ხელმძღვანელი პირდაპირ ინიშნება და თავისუფლდება პრემიერ მინისტრის მიერ, სააგენტოს დამოუკიდებლობა - განსაკუთრებით, პოლიტიკური კორუფციის კვლევის ნაწილში, არ არის უზრუნველყოფილი (რაც ნათლად გამოჩნდა არჩევნების წინ საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული, ხოლო შემდგომ, მმართველი პარტიის წარმომადგენლების პირდაპირი მითითების შემდგომ, შეწყვეტილი გამოძიების მაგალითზე). **მოგვიანებით, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მოდელის ცვლილება მოხდა** - 2023 წლის 15 დეკემბერს მმართველმა პარტიამ დაამტკიცა ცვლილებები საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში, რის მიხედვითაც, იურიდიულ პირებს აეკრძალათ პარტიებისათვის შემოწირულობის განხორციელება, ხოლო პარტიების წლიური ხარჯებისთვის დასაშვებ ზედა ზღვრად მთლიანი შიდა პროდუქტის 0.04% განისაზღვრა,0.05%-ის ნაცვლად. აღსანიშნავია, რომ საფუძვლიანი დისბალანსი მმართველ პარტიასა და დანარჩენ პარტიებს შორის, კვლავაც პრობლემურია და აღნიშნული ცვლილებები ოპოზიციას მეტად დააზიანებს, ვიდრე მმართველ პარტიას - რადგანაც ამ უკანასკნელს, მნიშვნელოვანი ადმიინსტრაციული რესურსი და თანხების მობილიზების მოქნილობა ახასიათებს.

[18] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონი ხელმისაწდვოდმია ამ ბმულზე

საარჩევნო კანონმდებლობაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებასთან ერთად (პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგი სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გადავიდა ანტიკორუფციულ ბიუროზე), კანონმდებელმა ყურადღება არ გაამახვილა საარჩევნო კოდექსის 112-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი შეუთავსებელია სხვადასხვა კონკრეტულ თანამდებობრივ მდგომარეობასთან და პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა, დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგნენ და გათავისუფლდნენ თანამდებობის პირები. თუმცა, ამ პირთა წრეში არ მოიაზრება ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი, რომელსაც ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება ჰქონდეს თანამდებობრივი შეუთავსებლობა კანდიდატად დასახელების შემთხვევაში. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შემთხვევაში პირს უუქმდება საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად, დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლად, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლად რეგისტრაცია (ასეთი რეგისტრაციის არსებობის შემთხვევაში).

შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ძირითად პრინციპებთან და სტანდარტებთან - თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფასთან. აღსანიშნავია, რომ 9 ნაბიჯის ფარგლებში, ევროკომისია სწორედ ამ პრინციპების დაცვას და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად შესრულებას ითხოვდა ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული საარჩევნო რეფორმის გატარებით. თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი იღონა ამ სტანდარტების შესრულებისათვის. საპირწონედ, რაც ხელისუფლებამ 2023 წლის 15 დეკემბრის შემდეგ განახორციელა, ევროკავშირის 9 ნაბიჯის საწინააღმდეგო მიმართულების იყო.

ამასთან ერთად, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებით, საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ პრობლემური რჩება საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კონტროლი, საარჩევნო ოლქების საზღვრების დელიმიტაცია, ადმინისტრაციული რესურსის და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემა, ამომრჩეველთა დაშინების წინააღმდეგ მიმართული ზომების არარსებობა/სისუსტე და სხვა.[19]

საკანონმდებლო ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებებიდან ერთ-ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია საარჩევნო კანონმდებლობაში, გენდერულ თანასწორობასა და ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით, სავალდებულო გენდერული კვოტის და ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდისა და პოლიტიკურ

[19] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

პარტიებში ქალთა გაძლიერებისათვის მიმართული საბიუჯეტო დაფინანსების 30%-იანი დანამატის გაუქმება.[20]

გენდერული კვოტის გაუქმება

საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტის გაუქმებას მხარი 85-მა დეპუტატმა დაუჭირა. **მათ არ წარმოუდგენიათ გენდერული კვოტირების გაუქმების საჭიროების ლეგიტიმური, კვლევაზე დაფუძნებული არგუმენტები. განხილვებმა ნათლად წარმოაჩინა ის მტრული, სექსისტური და დისკრიმინაციული გარემო, რომელშიც ქალებს უწევთ საჯარო სივრცეებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.** მეათე მოწვევის პარლამენტში პოლიტიკოს ქალთა წინააღმდეგ ძალადობამ და დისკრიმინაციამ სისტემური ხასიათი მიიღო. საქართველოს პარლამენტი იქცა ადგილად, სადაც ქალთა მიმართ სიძულვილი და დისკრიმინაცია კომუნიკაციის მიღებული ფორმა იყო. ხოლო გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო და ეთიკის საბჭოების მუშაობა - არაეფექტური.[21]

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მმართველმა პარტიამ დაარღვია საქართველოს ამომრჩეველთა ნება. კვლევების თანახმად, საქართველოში ამომრჩეველთა 61% მხარს უჭერს პარლამენტში ქალებისა და კაცების თანაბარ წარმომადგენლობას (NDI, 2023). საზოგადოება მიიჩნევს, რომ ქალთა თანაბარი წარმომადგენლობა დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის განვითარებაზე (UNDP, UNFPA, 2020). გარდა ამისა, მოსახლეობის 65% მიიჩნევს, რომ რაც მეტი ქალი იქნება საქართველოს პარლამენტში, მით მეტი გავლენა ექნებათ მათ პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და საჯარო პოლიტიკაზე. საქართველოს მოსახლეობის 63%-ს კი, სჯერა, რომ პოლიტიკაში ქალების ჩართულობის ზრდა ქვეყანას სარგებელს მოუტანს (CRRC, UN WOMEN, 2024).

ცვლილება წინააღმდეგობაში მოდის 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში გატარებულ რეფორმასთან და არსებითი თანასწორობის პრინციპის განსაზღვრასთან, რომელიც ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს განსაკუთრებული ზომები კაცების და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ასევე, ევროპული პერსპექტივის ფარგლებში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან. კერძოდ: ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ 12 პირობათაგან ერთ-ერთი გენდერული თანასწორობა იყო.[22] წინსვლის ნაცვლად (შესრულებული სამი

[20] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[21] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[22] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

რეკომენდაციიდან ერთი სწორედ გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხებს ეხებოდა).

სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედება დადებითი იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.[23] 2023 წლის თებერვალში, საარჩევნო კოდექსში სავალდებულო გენდერულ კვოტასთან დაკავშირებული ცვლილების შემდეგ, მისი გამოყენება პრაქტიკაში არ მომხდარა და არ შეფასებულა გენდერული კვოტის, როგორც დროებითი სპეციალური მექანიზმის ეფექტიანობა - რამდენად საკმარისი იყო მისი მოქმედების პერიოდი ქალთა პოლიტიკური ჩართულობისთვის. თუმცა 2024 წლის 4 აპრილს, სამოქალაქო სექტორსა და შესაბამის მხარეებთან კონსულტაციის გარეშე, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით გააუქმა ქალთა პოლიტიკაში და პარტიის შიდა დემოკრატიის ხელშემწყობი მექანიზმები.

ამავდროულად, საერთაშორისო ინსტიტუტების ეუთო/ოდირისა[24] და ვენეციის კომისიის[25] შეფასებით, სავალდებულო გენდერული კვოტის გაუქმება, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის ალტერნატიული ზომების გარეშე, ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით უკან გადადგმული ნაბიჯია და შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან.

2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით,[26] პოლიტიკური გაერთიანებების წარდგენილ სიებში 1,185 რეგისტრირებული კანდიდატიდან მხოლოდ 29%-ი იყო ქალი, რომლებიც არაგამსვლელ პოზიციებზე იყვნენ ნომინირებულნი, რაც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს წარდგენილ სიებში ქალ კანდიდატთა 44,3%-თან შედარებით მნიშვნელოვანი უკუსვლაა. **2020 წელს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 20%-ს შეადგენდა, 2024 წელს პოლიტიკური გაერთიანებების მიერ წარდგენილი სიების გათვალისწინებით, ქალი დეპუტატების რაოდენობა შემცირდა[27]. ქალთა წარმომადგენლობის შემცირება ძირს უთხრის ამ მიმართულებით ბოლო წლებში მიღწეულ პროგრესს და კიდევ უფრო გვაშორებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის საჭირო კრიტიკულ მასას, რომელიც 30%-ით განისაზღვრება, ხოლო CEDAW-ს უახლესი რეკომენდაცია პარიტეტს უჭერს მხარს.[28]**

რაც შეეხება 2024 წლის არჩევნების შედეგის მიხედვით **მანდატების გადანაწილებას და ქალთა მონაწილეობას**, უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნების მასიურად გაყალბებისა[29]

---

[23] კვლევა: გენდერული სავალდებულო კვოტა საქართველოში, 2022. ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[24] ეუთო/ოდირის შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[25] ვენეციის კომისიის შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[26] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[27] ამ ეტაპისთვის ქართულ ოცნებას 89 მანდატი აქვს, აქედან ქალი დეპუტატის - 12 მანდატი.
[28] CEDAW-ს უახლესი რეკომენდაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[29] სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

და განვითარებული კრიზისის ფონზე, ოპოზიციურმა პარტიებმა პროპორციული სიები ჩახსნეს და მიმართეს პარლამენტს მანდატების გაუქმების თაობაზე.

რუსული კანონი

ქართული ოცნების ინიცირებული კანონპროექტი „უცხოური გამჭირვალობის შესახებ“, რომელიც საქართველოში გავრცელდა „რუსული კანონის“ სახელით - არსით, შექმნის კონტექსტით, მიზნებით და სახელწოდებითაც კი იდენტურია პუტინის ავტორიტარული რეჟიმის კანონთან და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციას.

კანონის მიზანია (ნეგატიური კონოტაციის სტიგმით - უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად დარეგისტრირებით, 6 თვეში ერთხელ მონიტორინგის განხორციელებითა და სანქციებით, რომლებიც 25 ათას, 10 ათას და 20 ათას ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, მათ შორის, კანონპრექტის ფიზიკურ პირებზე გავრცელებით და სანქცირებით),[30] დაასუსტოს ხელისუფლების მაკონტროლებელი, მიუკერძოებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია საშუალებები, ნეგატიურად იმოქმედოს მათ საქმიანობაზე.

„რუსული კანონის“ ისტორია 2012 წელს იწყება, როდესაც ხელისუფლებაში მესამედ მობრუნების სურვილით, პუტინმა პირველად შემოიღო კანონი „აგენტების შესახებ“, რითაც დაუპირისპირდა დამოუკიდებელ მედიას და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რომლებიც არჩევნების ფართომასშტაბიან გაყალბებაზე მიუთითებდნენ. კანონის დასაბუთება ემთხვევა ქართული ოცნების დასაბუთებას და ხაზს უსვამს არასამთავრობო სექტორის „გამჭირვალობის“ აუცილებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორი საქართველოში ყველაზე გამჭირვალე სექტორია (როგორც არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებით, ისე პრაქტიკული მექანიზმებით). დროთა განმავლობაში, სწორედ ამ კანონით და მასში შესული მრავალი ცვლილებით, პუტინმა სრულად გაანადგურა რუსეთში თავისუფალი მედია და სადამკვირვებლო ორგანიზაციები. საბოლოოდ, 2022 წლის 1 დეკემბერს, რუსეთმა მიიღო განახლებული კანონი - რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „უცხოური გამჭირვალობის შესახებ“ კანონი. მის განმარტებით ბარათში, რუსეთის დუმის (პარლამენტის) თავმჯდომარე პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს კანონი მიმართულია ევროპის, ბრიტანეთისა და ამერიკის წინააღმდეგ.

რუსეთში მიღებული კანონის საპასუხოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ეს კანონი და მისი ნებისმიერი ანალოგი პირდაპირ

[30] კანონპროექტი ხელმისაწვოდმია ამ ბმულზე. კანონი ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს და შეუთავსებელია თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობასთან, რადგანაც ის ზღუდავს მშვიდობიანი გამოხატვისა და მანიფესტაციის უფლებას, მასტიგმატიზებელ გავლენას ახდენს სამოქალაქო სექტორზე, არაპროპორციულ ადმინისტრაციულ ტვირთს აკისრებს მათ და „არ არის საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ საქართველოს კონტექსტში, კანონი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციაში ასახულ საქართველოს მოქალაქეების ნებას, საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.

“რუსული კანონის” მიღება ანტიდემოკრატიული საკანონმდებლო ზომა იყო, რომელმაც ამოქმედებამდე იქონია მსუსხავი ეფექტი სამოქალაქო საზოგადოებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ „რუსული კანონის“ მიღებამდე, საქართველოში უკვე მოქმედებდა სრულყოფილი კანონმდებლობა გრანტების სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭირვალობას, კერძოდ:

- გრანტების შესახებ კანონი, რომელიც იმეორებს ეუთოს პრინციპებს, და განსაზღვრავს, რომ საგრანტო დაფინანსების დროს, უნდა არსებობდეს ხელშეკრულება, და გამჭირვალე იყოს დამფინანსებელი, დაფინანსებული, დაფინანსების ოდენობა და მიზანი;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ კანონი, რომელიც ბანკებს ავალდებულებს, შეისწავლონ გადარიცხვების წარმომავლობა და შესაბამისობა კანონთან;
- ლობისტური საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი - რომელიც არის ყველაზე მიმსგავსებული ამერიკულ FARA-ზე, რადგან ის განსაზღვრავს შესაძლებლობას მათთვის, ვისაც სურს პარლამენტარებთან პირდაპირ მუშაობს, რომ დარეგისტრირდნენ და მიუთითონ მათი დაფინანსების წარმომავლობა და მიზანი.

კანონი აღქმული იყო არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფებისთვის როგორც მწვანე შუქი, რასაც მოჰყვა სიტყვიერი და რიგ შემთხვევებში - ფიზიკური ძალადობა სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და პროტესტის მონაწილე მოქალაქეებზე. ძალადობის სისტემურმა და ერთგვაროვანმა ფორმამ გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული ძალადობა და ზეწოლა ორგანიზებული იყო ხელისუფლების მიერ, რაზეც გამომძიებელი ჟურნალისტების მიერ წარმოებული არაერთი გამოძიება მიუთითებს.[31]

ამავდროულად, „რუსული კანონის“ განახლებულ რედაქციაში, არასამთავრობო ორგანიზაციები, ვისაც ეხება აღნიშნული კანონი, ვალდებული არიან, წარადგინონ

[31] „აი, ფაქტის” და OCCRP ერთობლივი ჟურნალისტური გამოძიება

განსაკუთრებული კატეგორიის ისეთი პერსონალური ინფორმაციაც კი, რაც არ არის კავშირში მათ საქმიანობასთან (განსაკუთრეუბლი კატეგორიის პერსონალური მონაცემები შეიცავს ნებისმიერ პირად საკითხს, დაწყებული ჯანმრთელობის მდგომარეობით, დასრულებული პირადი ცხოვრების დეტალებით). აღნიშნული ინფორმაცია, საჯარო რეესტრში გამოქვეყნებას ექვემდებარება. საყურადღბოა, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში, სწორედ აღნიშნული რისკი განხორციელდა და მოქალაქის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები გასაჯაროვდა, რამაც საშიში პრაქტიკა შექმნა. შესაძლოა არასამთავრობო ორგანიზაციებს დაევალოთ მათი თანამშრომლების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, რამაც, ლგბტქი+ პროპაგანდის პირობებში, შესაძლოა მყისიერი და მნიშვნელოვანი ფიზიკური საფრთხე შეუქმნას მათ.[32]

17 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ საჩივარი 120 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ,[33] 16 მედიამ და 4 ფიზიკურმა პირმა წარადგინა, მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა[34] ე.წ. „რუსული კანონის“ შეჩერებაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოს უარი კანონის შეჩერებაზე შეაფასეს როგორც „მოსამართლეთა მხრიდან კონსტიტუციის ღალატი“. საკონსტიტუციო სასამართლოს ორმა მოსამართლემ განსხვავებული აზრი დაფიქსირა.[35]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ორგანიზაციები მიუთითებენ ადამიანის უფლებათა კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევაზე: შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-11 მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი), დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლება (მე-13 მუხლი) და უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები (მე-18 მუხლის).

ოფშორების კანონი

2024 წლის 29 მაისს, „რუსული კანონის“ მიღების პარალელურად მმართველმა პარტიამ გადალახა საქართველოს პრეზიდენტის დასაბუთებული ვეტო და ოფშორების შესახებ კანონი მიიღო. „ქართულმა ოცნებამ“, დაჩქარებული წესით

[32]ონლაინ მედია პლატფორმა მაისი.ნიუსი
[33] ონლაინ მედია პლატფორმა მაისი.ნიუსი
[34] საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი
[35] საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი

მიღბული კანონი „ეკონომიკური მოგებით“ დაასაბუთა, თუმცა, ერთ-ერთ სხდომაზე, მმართველი პარტიის დეპუტატმა, პაატა კვიჟინაძემ ახსენა:

> „ე.წ. ოფშორებში საინტერესო აღარ არის ბიზნესის წარმოება. გაძლიერდა მონიტორინგი, გაძლიერდა გამჭირვალობა, გადასახადებმა მოიმატა - ამიტომ ბევრი ამ ოფშორებიდან გადის. თუ ესენი წავლენ და რომ დიდი ნაწილი მაქსიმალურად მოვიზიდოთ, რომ საქართველოში გადმოიტანონ თავიანთი ბიზნესი. დღევანდელი კანონმდებლობით მას გადასახადის გადახდა მოუწევს - მაგალითად, თუ ეს წავა მიწოდების კუთხით, მაშინ მოგების გადასახადს გადაიხდის, თუ წავა ჩუქების კუთხით - საშემოსავლოს, მოგების გადასახადს და ა.შ. ახლა საუბარია, რომ ერთჯერადად გადმოტანის მომენტში, **ეს გადასახადები ვაპატიოთ, თუ გადმოვლენ და გაათეთრებენ თავიანთ... გათეთრებული ისედაც არის, მაგრამ საქართველოში თუ იქნება, უფრო გამჭირვალე იქნება და უფრო მეტი გადასახადი შემოვა და ძალიან კარგი იქნება.** გარდა ამ წილისა გააჩნია სხვა აქტივები, არ ვიცი, მაგალითად თვითმფრინავი, დაზგა-დანადგარები, მანქანები ან რაღაც - და ისიც უნდა, რომ საქართველოში და ისიც უნდა რომ საქართველოში გადმოიტანოს, ოღონდ ამ წილს არ ეხება, აქაც ერთჯერადად იმპორტის გადასახდელებისგან შემოტანის ნაწილში გათავისუფლდებიან.“[36]

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს 2021 წლის კვლევის მიხედვით, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ბიძინა ივანიშვილი ოფშორულ ზონებში 20 კომპანიას ფლობდა. ამავდროულად, „აი, ფაქტის“ საგამოძიებო კვლევა აჩვენებს თუ როგორ ხდება საქართველოს გამოყენება რუსული სანქცირებული კომპანიების მიერ.[37]

პარალელურად, მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოები აძლიერებენ ოფშორული ზონების რეგულირებას, ხოლო საქართველოს მთავრობას არც ერთი სტრატეგიით თუ საერთაშორისო შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული მსგავსი კანონმდებლობის შემოღება. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული კანონი ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს, ფულის გათეთრების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კანონის მიღებამ გააჩინა ეჭვი, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით, მმართველი პარტია საგარეო კურსის ცვლილების და თანმდევი სანქციებისთვის ემზადება. საინტერესოა, რომ კანონი შეიცავს სრულიად განსხვავებულ საკითხსაც: ამავე საკანონმდებლო ცვლილებით, მოქალაქეებს ჩამოეწერათ საგადასახადო დავალიანება - რაც ერთი მხრივ, ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდს, ხოლო მეორე მხრივ, ამ ორი რადიკალურად განსხვავებული საკითხის ერთ საკანონმდებლო ცვლილებაში გაერთიანება მიუთითებს ოფშორების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებაზე შესაძლო პროტესტის შერბილების მცდელობას.

[36] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[37] ინფორმაცია ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

პრეზიდენტი, ვეტოს მოტივირებულ შენიშვნებში მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ცვლილებები სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შემცველია და არ შეიძლება მიღებულ იქნას დაჩქარებული წესით. ამავდროულად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ცვლილება ქმნის არათანაბარ და დისკრიმინაციულ საინვესტიციო გარემოს.[38]

ჰომოფობიური ე.წ. ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონი

კიდევ ერთი კანონი რომელიც ქართული ოცნების მიერ დადგა დღის წესრგიში ეხება ე.წ. ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.[39] რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების წინააღმდეგ, დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კანონმდებლობას, საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს.[40]

კანონის მიღების პარალელურად ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის (176[1] მუხლი) და ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექში (172[10] მუხლი), რომელთა მიხედვითაც პირველი დეკემბრიდან პირს დაეკისრება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთას.

წინასაარჩევნო გარემო

საარჩევნო წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის ხარისხის შემცირებამ, სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის საქმიანობის ზღვრის წაშლამ, წინასაარჩევნო პერიოდზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. გამოწვევები დადგა **გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლების კუთხით.**

„რუსული კანონის“ ინიციირებას და მიღებას მასშტაბური პროტესტი მოჰყვა საქართველოში. სამოქალაქო საზოგადოების შეფასებით:

---

[38] საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[39] კანონი ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

[40] პირველ ეტაპზე ქართულმა ოცნებამ საკონსტიტუციო ცვლილებები დააინიციარა და საჯარო შეხვედრების გამართა, თუმცა რეალური მიზანი არა საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება იყო (მმართველ პარტიას შესაბამისი კვორუმი არ ჰქონდა მის მისაღებად), არამედ წინასაარჩევნო პერიოდში გაეძლიერებინა ჰომოფობიური და დეზინფორმაციული პროპაგანდა. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, კრიტიკული შეფასება ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა, ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

„მტრული კანონები მიზნად ისახავს მოსახლეობის გახლეჩას, ქვეყნის ევროპული მომავლის დაზიანებას და სიტყვის თავისუფლების გაუქმებას“[41]

შესაბამისად, შექმნილმა საკანონმდებლო რეალობამ და სახელმწიფო უწყებების მოქმედებებმა, შეკრება - მანიფესტაციების დროს არალეგიტიმური და არაპორპორციული ძალის გამოყენებამ,[42] თავდასხმებმა სამოქალაქო საზოგადოებებზე და აქტივისტების წინააღმდეგ მიმართულმა ძალადობამ,[43] რადიკალურად გააუარესა ადამიანის უფლებების მდგომარეობა და დემოკრატიის ხარისხი საქართველოში.

საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვის ფარგლებში ჩანს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, მნიშვნელოვნად შეიცვალა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ეროვნული მარეგულირებელი-პოლიტიკური ჩარჩო. გამოწვევა იყო საარჩევნო პროცესში ჩართული უწყებების მიერ საკანონმდებლო ჩარჩოს პრაქტიკაში აღსრულება. რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებები სცდებოდა კანონიერების და სამართლიანობის ფარგლებს (ანტიკორუფციული ბიუროს და კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები).

კოალიცია „ჩემი ხმის” სადამკვირვებლო მისიის საერთო შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობის მხრივ პარტიები შეზღუდული არ ყოფილან, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო იყო არათანაბარი, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყვეტილებები საარჩევნო დარღვევების მიმართ უსამართლო და მმართველი პარტიის სასარგებლოდ მიკერძოებული:

„სამართალდამცავი ორგანოების და სხვა შესაბამისი ინსტიტუტების მიერ ფორმალურადაც კი არ ხდებოდა კონკრეტულ დარღვევებზე, მათ შორის დანაშაულებრივ ფაქტებზე რეაგირება და, მით უმეტეს, დარღვევების პრევენცია.”[44]

ამავდროულად, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში, გამოიკვეთა რომ ფართოდ არის გავრცელებული ამომრჩეველთა მიმართ **ეკონომიკური ძალადობის ნიშნები,** გაუარესდა **სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის სამუშაო გარემო**. გართულებული მდგომარეობა იყო **პოლიტიკური პარტიებისთვისაც.** ფართოდ გავრცელებული შიში,

[41] 400-ზე მეტი ორგანიზაციის შეფასება: კი - ევროპას, არა - რუსულ კანონს.
[42] სოციალური სამართლიანობის ცენტი, შეფასება
[43] საიას შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე
[44] კოალიცია „ჩემი ხმის” სადამკვირვებლო მისიის საერთო შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

დეზინფორმაცია ართულებდა პოლიტიკური ჯგუფებისთვის წინასაარჩევნო გარემოში მუშაობის შესაძლებლობას. მასშტაბური იყო **დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავლენა პოლიტიკურ გარემოზე, რომელშიც** საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო და ე.წ. დამოუკიდებელი ინსტიტუტებიც მონაწილეობდნენ. საზიანო იყო მოქალაქეების განწყობები, წარმოდგენები და ინფორმირებულობის ნაკლებობა ელექტრონული საშუალებებით გამართული არჩევნების შესახებ. გამოწვევები გამოიკვეთა **საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების ფარგლებში** (ემიგრანტების და დევნილების საარჩევნო უფლების რეალიზება).

წინასაარჩევნო პერიოდში ფართოდ გავრცელებული ტენდენცია ადმინისტრაციული რესურსის მმართველი პარტიის საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენება იყო. ხდებოდა სამართლებრივი, ინსტიტუციური და ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

კრიტიკულად განწყობილი მედია ორგანიზაციები ხელისუფლების მხრიდან მუდმივი თავდასხმების სამიზნე იყო. კომუნიკაციების კომისია უკანონოდ და დაუსაბუთებლად ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ სამაუწყებლო კომპანიებს აჯარიმებდა. საარჩევნო პერიოდში მედიაზე წვდომა საარჩევნო სუბიექტებისათვისაც მკვეთრად უთანასწორო იყო, რაც შესაძლებლობათა თანასწორობის პრინციპს არღვევდა. სახელისუფლებო რედაქციის მქონე მედია საშუალებებზე წვდომა დახურული იყო ოპოზიციური პარტიებისათვის. მმართველი პარტიის წევრები კრიტიკულ მედია-საშუალებების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ფორმატის არ მონაწილეობდნენ. აღნიშნულმა ნეგატიური გავლენა მოახდინა და დააზიანა ამომრჩევლის ინფორმირების პროცესი.

სისტემის მიერ გამოხატული ძალადობის ნიშნები

ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური ძალადობის ნიშნები: მოქალაქეები საუბრობდნენ სხვადასხვა ფორმით ზემოქმედების (დაშინება, ზეწოლა, მუქარა) ფაქტებზე, სოციალური ბენეფიტების/სტატუსის დაკარგვის რისკებზე - სტუდენტური სტატუსი, სოციალური დახმარება, საცხოვრისი და სხვა. საქართველოში რეგისტრირებულია ნახევარ მილიონზე მეტი სოციალურად დაუცველი, და ასობით ათასი მოქალაქე, ვინც დასაქმებულია საბიუჯეტო დაფინანსების მქონე ორგანიზაციებში (საჯარო სკოლები, საბავშვო ბაღები, ამბულატორიები, სხვადასხვა დანიშნულების სახელმწიფო/მუნიციპალური სსიპ-ები და (ა)აიპ-ები და სხვა).

მოქმედებს პერსონალური მონაცემების შეგროვების უკანონო სქემა,[45] საჯარო მოხელეებისა და საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მიერ ამ დაწესებულებებში/ორგანიზაციებში დასაქმებული თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვების და „ქართული ოცნების" სასარგებლოდ ხმის მიცემის უზრუნველყოფის მიზნით.

მათზე, ვინც უშუალოდ არ გამხდარა სხვადასხვა ფორმით გამოხატული ზემოქმედების, დაშინების ან მუქარის ადრესატი, მოქმედებს მსუსხავი ეფექტი, რაც იწვევს მოქალაქეების თვითცენზურას და თავშეკავებას საარჩევნო-პოლიტიკური უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების სრულყოფილად რეალიზებისგან.

ამომრჩევლების განწყობები და საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზება

საარჩევნო უფლების განხორციელება: წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით საზიანო იყო მოქალაქეების განწყობები, წარმოდგენები და ინფორმირებულობის ნაკლებობა ელექტრონული საშუალებებით არჩევნების გამართვის შესახებ. მოქალაქეები საუბრობდნენ ელექტრონული საშუალებებით არჩევნებში მონაწილეობის საფრთხეებზე, ხმის მიცემის დროს ელექტრონულმა საშუალებებმა - ამომრჩევლის ვერიფიკაციის და ხმის მიცემის მოწყობილობებმა დაამუშაოს ამომრჩევლის პირადი მონაცემები მისი კონტროლის მიზნით და დაარღვიოს ფარულობის პრინციპი, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ აკეთებს იგი არჩევანს. მოქალაქეთა ამგვარი განწყობების და წარმოდგენების შექმნას, განსაკუთრებით რეგიონულ/მუნიციპალურ დონეზე, ცრუ ნარატივების გავრცელებამ შეუწყო ხელი.

გამოწვევები იყო **საყოველთაო საარჩებნო უფლების რეალიზების ფარგლებში.** საზღვარგარეთ მცხოვრებმა ამომრჩევლებმა არჩევნების წლის დასაწყისში დაიწყეს მზადება **არჩევნებში მონაწილეობისა და საარჩევნო უბნების საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების გეოგრაფიული გადანაწილების მიხედვით გახსნის თაობაზე.** კვლევის პროცესში ჩართული პირები საუბრობდნენ, რომ მაღალი იყო მიმართვიანობა ამომრჩევლების საკონსულო აღრიცხვაზე დადგომასთან დაკავშირებით. მათ არაერთი წერილი გააგზავნეს საარჩევნო ადმინისტრაციასა და საგარეო საქმეთა სამინისტროში უბნების გახსნის თაობაზე იმ ქალაქებში, სადაც საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა რაოდენობა მაღალი იყო (ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს

[45] ბათუმელების სტატია ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

აღემატებოდა და არსებობდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება საარჩევნო უბნების გახსნაზე).

მიმართვების მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციამ უარი თქვა საზღვარგარეთ საჭირო რაოდენობის საარჩევნო უბნების გახსნაზე და საგარეო საქმეთა სამინისტროზე მითითებით საარჩევნო უბნები გახსნა მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულოები აქვს. **ემიგრანტებს ბარიერები ამომრჩეველთა სიებში რეგისტრაციის პროცესში და კენჭისყრის დღესაც შეექმნათ.**

საბოლოოდ, წინასაარჩევნო პერიოდში საზღვარგარეთ ემიგრანტების რიცხოვნობასთან შეუსაბამოდ მცირე რაოდენობით გახსნილმა საარჩევნო უბნებმა, გამოწვევებმა სიაში რეგისტრაციის პროცესში (ცესკოს მიერ გადადგმული დადებითი ნაბიჯით, 7 ოქტომბრამდე შესაძლებლობა მისცეს საზღვარგარეთ მცხოვრებ დევნილებს, ონლაინ რეგისტრაციის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში[46]), და შემდგომ, არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნების არასათანადო მოწყობამ დაარღვია არჩევნების საყოველთაობის კონსტიტუციური პრინციპი.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების სამუშაო გარემო

გაუარესებულია სადამკვირვებლო ორგანიზაციების სამუშაო გარემო: „რუსული კანონის“ ინიცირების შემდგომ მნიშვნელოვნად გაუარესდა სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო გარემო - ონლაინ რეჟიმში დისკრედიტაცია, რეალურ ცხოვრებაში ვერბალური და ფიზიკური თავდასხმები, სატელეფონო მუქარები და კერძო საკუთრების ვანდალიზმი, თანამშრომლების გადინების, სადამკვირვებლო მისიების დაკომპლექტების სირთულეების მიზეზი გახდა.

კანონის მსუსხავი ეფექტი მის ამოქმედებამდე გავრცელდა საქართველოს მოქალაქეებზე, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედია ორგანიზაციებზე. ამავდროულად, მოქალაქეებიც საგრძნობლად დისტანცირდნენ ორგანიზაციებისაგან. მოქალაქეები, მათ შორის ქალები თავს იკავებენ სხვადასხვა შეხვედრებში, ტრენინგებსა და აქტივობებში ჩართვისაგან, რაც რუსული კანონის ინიცირებამდე პოპულარობით სარგებლობდა, რეგიონებში მწირი სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ფონზე. თავს იკავებენ მათთვის სასიცოცხლო სერვისების მიღებისაგან, რომელიც მათი უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის არსებითია.

[46] ცესკოს დადგენილება სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიების ფორმირების დამატებითი წესის შესახებ ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

მედია გარემო

პრესის თავისუფლების ინდექსში[47] 2024 წელს საქართველომ 103-ე ადგილი დაიკავა 180 ქვეყანას შორის, რაც წინა წელთან შედარებით 26 პუნქტით გაუარესებას ასახავს. ორგანიზაცია მედიაომბუდსმენის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში, ჟურნალისტური საქმიანობა უკავშირდებოდა ფიზიკურ, ფინანსურ და ორგანიზაციულ რისკებს, ხელოვნურ ბარიერებსა და არასათანადო პირობებს, რამაც ხელი შეუშალა მათ მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულებას.[48]

კვლევის **„ჟურნალისტების უსაფრთხოება 2024 წლის არჩევნების წინ“** თანახმად, არჩევნების წინა პერიოდში თავისუფალ მედიას მზარდი საფრთხეების ფონზე უწევს მუშაობა. კვლევის მიხედვით, ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ კანონის წინაშე გამოკითხულ ჟურნალისტთა 65% თავს ძალიან დაუცველად, 23% კი დაუცველად მიიჩნევს. კვლევაში მონაწილე ჟურნალისტთა 42%-ს ან/და მათ თანამშრომელს გამოუცდიათ ფიზიკური თავდასხმა. კვლევის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ისინი გამუდმებით არიან ფარული მიყურადების ქვეშ, ისევე როგორც მათ მიმართ რეგულარულად ხორციელდება დეზინფორმაციული კამპანია. კვლევის მიხედვით, ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება საჯარო ინფორმაციის მიღება.[49]

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა

გართულდა მდგომარეობა პოლიტიკური პარტიებისთვის: ფართოდ გავრცელებული შიში, დეზინფორმაცია ართულებს პოლიტიკური ჯგუფებისთვის წინასაარჩევნო გარემოში მუშაობის შესაძლებლობას. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში განხროციელებულმა ცვლილებებმა, მათ შორის კოალიციების ფორმირების წესის ცვლილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობასა და მათი ფორმირების პროცესზე. გენდერული კვოტების გაუქმებამ დამატებითი ფინანსური სირთულე შეუქმნა პოლიტიკურ პარტიებს, რადგანაც მცირე ზომის პარტიებისთვის გენდერული კვოტებიდან მიღებული დამატებითი ფინანსური რესურსები მნიშვნელოვან დამხმარე მექანიზმს წარმოადგენდა პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობისთვის;

---

[47] რეპორტიორები საზღვრებს გარეშე

[48] მედია გარემოს შეფასება

[49] მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის კვლევა ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

დეზინფორმაცია და პროპაგანდა

დეზინფორმაცია და პროპაგანდა: დეზინფორმაცია არის „ყალბი ან ნაწილობრივ ყალბი ინფორმაციის სისტემურად გავრცელება, ან ზუსტი ინფორმაციის დამახინჯება, რათა მოსახლეობაში დაინერგოს ეჭვი, უნდობლობა, შიში, პანიკა, განხეთქილება და პოლარიზაცია, რითაც მოხდება მოქალაქის და მთლიანად საზოგადოების, შესაბამისად სახელმწიფოს გადაწყვეტილების უნარის პარალიზება, უპირატესობის მოსაპოვებლად.

გავლენა პოლიტიკურ გარემოზე - წინასაარჩევნო გარემო გაჯერებული იყო მძლავრი დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ფონით. წამყვან ნარატივებს შორისაა ომის შიშის დანერგვა, ლგბტ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის გამოყენება და სხვა - მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, იმედის, მმართველი პარტიისა და მათთან დაკავშირებული პირების რიტორიკაში. დეზინფორმაციის გავრცელებაში ჩართული იყვნენ აგრეთვე, არა მხოლოდ ანონიმურ ფეისბუქ გვერდებსა და ანგარიშებს, სახელისუფლებო ექსპერტებსა და მმართველი პარტიის სასარგებლო სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიებსაც.

მას შემდეგ, რაც 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ოფიციალურად მიმართა ევროკავშირს გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე, ანტიდასავლური კამპანია კიდევ უფრო გაძლიერდა. აღნიშნულს ადასტურებს ევროკომისიის ანგარიში,[50] საქართველოში დეზინფორმაციის სპეციფიკური მიმართულება ცდილობდა იმის მინიშნებას, რომ დასავლეთი საქართველოდან რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს.[51] ანტიდასავლური გზავნილების გარდა, პრობლემას წარმოადგენს სხვა ტიპის დეზინფორმაციული და საინფორმაციო მანიპულაციური ნარატივების გავრცელება არაავთენტური კოორდინირებული ქსელებით. 2023 წლის მაისში Facebook-ის მფლობელმა კომპანიამ, META-მ, კოორდინირებული არაავთენტური ქცევის გამო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერი ჯგუფები და სხვა პროსახელისუფლებო ანგარიშები წაშალა,[52] რომლებიც ფეისბუქის ანგარიშით, მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან იყვნენ დაკავშირებული.

წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებული დეზინფორმაციის ძირითადი სამიზნე უმეტესად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, ჟურნალისტები და

[50] დოკუმენტი ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[51] კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, შეწყვიტოს მიზანმიმართული სიძულვილის კამპანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, გადადგას ნაბიჯები მათთან პარტნიორული და საქმიანი კომუნიკაციის დასამყარებლად და უარი თქვას წინასაარჩევნო კამპანიაში პოლარიზაციის ინსტრუმენტალიზაციაზე.

[52] მეტას ანგარიში ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. ხდებოდა „ქართული ოცნების" მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირებისა და მედიის დისკრედიტაცია ტერმინებით „უსამშობლო", „მოღალატე" და ამ ნარატივის გამაძლიერებელი მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელება.

„არ დარჩენილა არც ერთი პოლიტიკური თანამდებობის პირი ან ე.წ. დამოუკიდებელი უწყების ხელმძღვანელი, ვინც სამოქალაქო სექტორის დეზინფორმაციის და დისკრედიტაციის კამპანიაში არ იყო ჩართული. ზოგიერთი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ნეგატიურ კონტექსტში ფიგურირებდა ასევე მმართველი პარტიის ოფიციალურ საარჩევნო რეკლამაში."

დისკრედიტაციისთვის სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ - ვიზუალური მანიპულაცია, ფოტო/ვიდეომონტაჟი, აუდიომასალის რედაქტირებას ან ვიდეოკომენტარების უკონტექსტოდ გავრცელება, ყველაზე ხშირად იყო გამოყენებული.[53]

ადმინისტრაციული რესურსი - სამართლებრივი/ინსტიტუციური და ფინანსური ადმინისტრაციული რესურსები

სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის საქმიანობის ზღვრის წაშლის ტენდენცია მმართველის პარტიის მიერ სამართლებრივი/ინსტიტუციური და ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების მხრივაც გაგრძელდა.

გამოიკვეთა არაერთი ფაქტი როდესაც მმართველი პარტიის კანდიდატები მონაწილეობდნენ საბიუჯეტო ღონისძიებებში, ხდებოდა საჯარო მოხელეების და საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მობილიზება მმართველი პარტიის სასარგებლო წინასაარჩევნო შეკრებებში ჩართვისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა საარჩევნო მიზნით.[54]

სამართლებრივი/ინსტიტუციური რესურსები

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის მიერ ინტენსიურად ხდებოდა სამართლებრივი და ინსტიტუციური რესურსის გამოყენება. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს საარჩევნო ადმინისტრაციის, ანტიკორუფციული ბიუროს,

[53] კოალიცია ჩემი ხმა - წინასაარჩევნო შეფასება, ხელმისაწდვომია ამ ბმულზე
[54] იქვე

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა და მმართველი პარტიის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებები. განვიხილოთ რამდენიმე:

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაცია: საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის თანახმად: „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო ადმინისტრაცია წარმოადგენს დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედს და გარანტს. „კეთილსინდისიერი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ობიექტური, პროფესიონალი და პოლიტიკურად ნეიტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციის არსებობას“. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებლები არიან და ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს. საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.[55] თუმცა, 2024 წლის არჩევნებზეც გამოწვევა იყო კომისიების წევრების დამოუკიდებლობა და ნეიტრალურობა, განსაკუთრებით პროფესიული კვოტით დაკომპლექტების ნაწილში. თითქოსდა ფორმალურად საარჩევნო კოდექსის ნორმები შესრულებული იყო, თუმცა არაერთი სადამკვირვებლო ორგანიზაცია[56] და საგამოძიებო მედია მიუთითებდა ამ პრინციპების დარღვევაზე. მაგ: „აი, ფაქტის“ ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში, მათ შორის პროფესიული კვოტით არჩეულ წევრებს შორისაც კი, გვხვდება დიდი რაოდენობა დადასტურებულად, მმართველი პარტიის მხარდამჭერი პირებისა. სისტემური წინაპირობა - კერძოდ, მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის ერთპიროვნულად დაკომპლექტების შესაძლებლობა (რაზეც ამავე კვლევის საკანონმდებლო ცვლილების ნაწილში მოცემულია განმარტება), მმართველ პარტიას პირდაპირ აძლევს შესაძლებლობას, საარჩევნო ადმინისტრაცია მთლიანად პარტიის მხარდამჭერი, მიკერძოებული პირებისგან დააკომპლექტოს. მაგალითისთვის, იმერეთის რეგიონში 750-ზე მეტ შემოწმებულ კომისიის წევრს შორის,[57] აღმოჩნდა, რომ:

[55] საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლი

[56] საქართველოს ახალგაზრდა იურსტთა ასოციაცია, საარჩევნო გარემოს შეფასება. დოკუმენტები ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[57] აი ფაქტის ჟურნალისტური გამოძიება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

- საუბნო კომისიების 62 წევრი მერიის, საკრებულოს, სახელმწიფო დაწესებულებების ან მუნიციპალური ა(ა)იპ-ის თანამშრომელია;
- საუბნო კომისიების 185 წევრი სკოლაში ან საბავშვო ბაღშია დასაქმებული (მასწავლებელი, აღმზრდელი, ბიბლიოთეკარი, დირექტორი/გამგე);
- საუბნო კომისიების 21 წევრი "ქართული ოცნების" ხელისუფლების მხარდამჭერი, მათი ოჯახის წევრი ან/და სამთავრობო პროპაგანდის გამავრცელებელია;
- საოლქო კომისიების 18 წევრი მერიის, ა(ა)იპ-ის, სკოლის, ან ბაღის თანამშრომელია;
- საოლქო კომისიების 7 წევრი "ქართული ოცნების" მხარდამჭერია.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ფუნქციების განაწილების წილისყრის პროცედურა: 2024 წლის 16 აგვისტოს ცესკომ მიიღო დადგენილება,[58] რომლის თანახმადაც, იმ უბნებზე სადაც ელექტრონული არჩევნები იმართება, საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრა არჩევნების დღის ნაცვლად, კომისიის წევრებმა ჩაატარონ არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა. აღნიშნული აზიანებს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას და ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს. საარჩევნო უბანზე ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრა წყვეტს თუ კომისიის რომელმა წევრმა რა ფუნქცია უნდა შეასრულოს კენჭისყრის დღეს. მანამდე მოქმედი წესით ზემოაღნიშნული პროცედურა არჩევნების დღის დილის 7:00 საათიდან 8:00 საათამდე პერიოდში ტარდებოდა. შესაბამისად, პროცედურა ტარდებოდა ყველა ჩართული მხარის დაკვირვებით, ვისაც არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლება აქვს: დამკვირვებლები, მედიებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. რაც უზრუნველყოფდა წილისყრის პროცესზე სრულყოფილ დაკვირვებას ყველა საარჩევნო უბანზე. ამ წესის ცვლილებამ განაპირობა ის, რომ კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების პროცესი უმრავლეს შემთხვევებში დამკვირვებლების გარეშე ჩატარდა.

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩატარება - მოსამზადებელი პროცედურები: ცესკომ ელექტონული საშუალებებით არჩევნების ჩატარებისთვის მომზადება არჩევნებამდე გაცილებით ადრე დაიწყო, როგორც შიდა ორგანიზაციულად, ასევე ამომრჩევლებში ცნობიერების ამაღლებისა და ელექტრონული საშუალებებით არჩევნების ჩატარების სანდოობის გაზრდის თვალსაზრისით. შიდა ორგანიზაციული მზაობისთვის ცესკომ ლოგისტიკის ბიზნესპროცესი/სისტემაც შეიმუშავა.[59]

[58] დადგენილება #32/2024

[59] დოკუმენტი ხელმისაწვდომია ცესკოს ვებგვერდზე

კომისიამ Smartmatic International-თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები გააფორმა 2023 წლის აგვისტოსა და დეკემბერში. ხელშეკრულებების ფარგლებში, კომპანიას, ჯამში, ელექტრონული საშუალებების შეძენისთვის 62 მილიონი ლარი გადაუხადეს. Smartmatic International-ს დაევალა ვერიფიკაციის აპარატების, ტაბლეტების, ხმის მთვლელების მოწოდება და მათი პროგრამული უზრუნველყოფა.[60]

ცესკომ Smartmatic International-ისგან შეიძინა VIU desktop 800 სერიის ვერიფიკაციის აპარატი, კონკრეტულად კი ამ სერიის ახალი მოდელი – VIU desktop 818-100. სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე ატვირთული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად, ცესკო გეგმავდა ისეთი აპარატების შესყიდვას, რომელსაც როგორც პირადობის, ისე პასპორტის სკანირება შეეძლო, თუმცა, მოგვიანებით, ცესკომ ერთპიროვნულად შეცვალა სპეციფიკაციები და ამოიღო სპეციფიკაციებიდან პასპორტის წაკითხვის შესაძლებლობა ისე, რომ ეს არც ოპოზიციას, არც სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ შეატყობინა.[61]

ამავდროულად, ელექტრონული არჩევნების სანდოობის საერთაშორისო პრინციპები მოიცავს ელექტრონული არჩევნების დამოუკიდებელი, მულტიპარტიული გადამოწმების შესაძლებლობას. არჩევნების მეორე დღეს, ცესკოს თავმჯდომარემ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა ამერიკული კომპანიის - PRO V&V-ს მიერ ჩატარებულ აუდიტზე, რომელიც, სამ ეტაპიანი[62] აუდიტის შემდგომ ადასტურებდა არჩევნების დღის მართებულად ჩატარებას. თუმცა, საგამოძიებო ჯგუფის, აი, ფაქტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო კვლევის თანახმად,[63] ეჭვქვეშაა აღნიშნული კომპანიის მიერ ჩატარებული აუდიტი, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე:

- PRO V&V აპარატების მომწოდებელ კომპანია "სმარტმატიკთან" წლებია თანამშრომლობს – აფასებს მათი ტექნოლოგიებით ჩატარებულ არჩევნებს და აპარატებს;
- კომპანია ცესკომ ერთპიროვნულად და გაუმჭვირვალედ შეარჩია;
- აუდიტორმა უპასუხა მხოლოდ იმ შეკითხვებს, რომელიც ცესკოში "ქართული ოცნების" მესვეურებმა დაუსვეს;
- PRO V&V-იმ შეამოწმა მხოლოდ 12-12 ტაბლეტი, ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატი;
- კომპანიის წარმომადგენლები კენჭისყრის დღეს აკვირდებოდნენ მხოლოდ ცესკოს მიერ წინასწარ შერჩეულ უბნებზე თბილისში, გორსა და თელავში;

---

[60] აი, ფაქტის ჟურნალისტური გამოძიება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[61] აი, ფაქტის ჟურნალისტური გამოძიება ხელმისაწვოდმია ამ ბმულზე

[62] პირველ ეტაპზე შეამოწმა ტაბლეტები, ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატები, მათი პროგრამული კოდებით. მეორე ეტაპზე – კონფიგურაცია, ანუ სერვერები და სიები. ბოლოს კი უშუალოდ კენჭისყრის დღე შეფასდა.

[63] აი, ფაქტის ჟურნალისტური გამოძიება ხელმისაწვოდმია ამ ბმულზე

- აუდიტის პროცესს ოპოზიციის, არასამთავრობო ან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ.

სხვა სახელმწიფოებში საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა და ამომრჩეველთა სიის განსაზღვრა: სხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის გამოწვევები და საარჩევნო უფლების განხორციელების რისკები **საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისა და ამომრჩეველთა სიების განსაზღვრის პროცესში დადგა.** როგორც ზემოთ აღინიშნა, არჩევნებში მონაწილებისთვის ემიგრანტები ჯერ კიდევ საარჩევნო წლის დასაწყისიდან თვითორგანიზდნენ. მათ ყველა სამართლებრივ და საინფორმაციო ხერხს მიმართეს, რათა საარჩევნო ხმის უფლების რეალიზება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ყოფილიყო.

საზღვარგარეთ, დიდ ქალაქებში, სადაც საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა რაოდენობა მაღალი იყო, ამომრჩევლები საკონსულო აღრიცხვაზე დადგნენ და წერილობით მიმართეს საარჩევნო ადმინისტრაციასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს უბნების გახსნის თაობაზე. ემიგრანტი საქართველოს მოქალაქეების მიმართვებზე უარს ცესკოს თავმჯდომარე პირადი წერილებით პასუხობდა. პირადი წერილები კი სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად არ ჩათვალა და სამართალწარმოება შეწყვიტა.[64]

ემიგრანტების მიმართვების მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციამ უარი თქვა საზღვარგარეთ საჭირო რაოდენობის საარჩევნო უბნების გახსნაზე და საგარეო საქმეთა სამინისტროზე მითითებით საარჩევნო უბნები გახსნა მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობები/საკონსულოები. საბოლოოდ, ცესკომ საზღვარგარეთ 67 საარჩევნო უბანი 42 სახელმწიფოს 53 ქალაქში შექმნა.[65]

რაც შეეხება ამომრჩეველთა სიების ფორმირებას, კიდევ ერთი ბარიერი, რომლის გადალახვა ემიგრანტებს მოუწიათ სიების ფორმირების საკითხს უკავშირდება (საკონსულო აღრიცხვების, მიღმა რჩებოდნენ უცხოეთში მცხოვრები დევნილები, რომელთა რეგისტრაციის ადგილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიაა და ამომრჩევლები, რომელთა რეგისტრაციის მისამართი გაურკვეველია). 26 სექტემბრის მდგომარეობით, ცესკო საგარეო საქმეთა სამინისტროზე მითითებით იუწყებოდა, რომ საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების რიცხვი 65 508 იყო, (მაშინ, როდესაც საკონსულო აღრიცხვაზე მდგომი ამომრჩევლების რაოდენობა ამ რიცხვს ჯერ კიდევ აგვისტოში აღემატებოდა). თუმცა, მოგვიანებით, ცესკომ ბერკეტი გამონახა და

[64] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკატიის საერთაშორისო საზოგადოების სარჩელი, დასაბუთება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[65] ცესკოს განკარგულება სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

ოკუპირებულ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ამომრჩევლები, რომლებიც საკონსულო აღრიცხვაზე იდგნენ, ამომრჩეველთა სიაში შეიყვანა.

8 ოქტომბერს ამომრჩეველთა სიებში ცვლილების ვადის ამოწურვის შემდეგ საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა 95 834-მდე გაიზარდა. 65 508 საარჩევნო უბნისთვის ცესკომ საზღვარგარეთ 60 უბანი გახსნა, მოგვიანებით, 30 326 ამომრჩევლისთვის მხოლოდ 7 უბანი დაამატა.[66]

ანტიკორუფიცული ბიუროს გადაწყვეტილებები: დამოუკიდებელ საქმიანობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გააჩინა ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებებმაც, რომლის მიხედვითაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონით დადგენილი შეზღუდვები გაავრცელა სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე.[67]

ბიუროს გადაწყვეტილების მიხედვით პოლიტიკურ აქტორად ცხადდება ყველა ის, ვინც საზოგადოებრივ პრობლემებსა და მოქალაქეების საჭიროებებზე საუბრობს. ამ გადაწყვეტილებით, ბიურო გასცდა კანონით განსაზღვრულ ჩარჩოს და დაარღვია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონის 26[1] მუხლი, რომლის მიხედვითაც:

> „გათვალისწინებული შეზღუდვები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოხატვის თავისუფლების, სამოქალაქო აქტივობის განხორციელების და წინასაარჩევნო აგიტაციის წინააღმდეგ.”

მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრმის ირაკლი კობახიძის მიმართვის საფუძველზე ანტიკორუფციური ბიუროს უფროსმა დაუყოვნებლივ გააუქმა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პრემიერ-მინისტრმა მართალია, “სამართლებრივი” თვალსაზრისით მოუწონა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა “მიზანშეწონილობის” მოსაზრებით, მას გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდა.[68]

კომუნიკაციების ეროვნული კომისია: წინასაარჩევნო გარემოში განსაკუთრებით საყურადღებოა, ძირითადი კრიტიკული ტელევიზიებისთვის ფინანსური პრობლემების შექმნის მცდელობები, ჯარიმების გზით, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა უკრაინელი ხალხის ტრაგედიის გამოყენებით, „ქართული ოცნების“ არაეთიკური რეკლამის გამოუქვეყნებლობის გამო სამ

---

[66] კოალიცია „ჩემის ხმის“ შეფასება სხვა სახელმწიფოში საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შესახებ ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

[67] ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება ხელმისაწდვომია ბიუროს ვებგვერდზე

[68] ინფორმაცია ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

კრიტიკულ მაუწყებელზე დაკისრებული ჯარიმა (რაც შეეხო მთავარ არხს, ტელეკომპანია პირველსა და ტვ ფორმულას). კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მიერ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდგომ, არც ცესკოს, არც სასამართლოს არ გაუკეთებიათ განსხვავებული განმარტება აღნიშნულ საქმეზე, რითაც მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას.

> „მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისგან დაკისრებული დაუსრულებელი ჯარიმები კრიტიკული არხებისთვის მძიმე ტვირთია, ჩვენ მაინც არ ვაპირებთ, თუნდაც ირიბად, ხელი შევუწყოთ „ქართული ოცნების“ რუსულ პროპაგანდას და უკრაინელი ხალხის დაცინვას. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ევროკავშირის ელჩის შეფასებას, რომ ეს არის „აღმაშფოთებელი, სამარცხვინო და შემზარავი“ კამპანია და, შესაბამისად, უარს ვამბობთ ამ ვიდეორგოლების ეთერში განთავსებაზე.“ – განაცხადეს ტელევიზიებმა.[69]

აღსანიშნავია უცხოელი ჟურნალისტების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტები და საქმიანობის ხელშეშლაც, რომელთა შორის განსაკუთრებით მწვავეა აფგან სადიგოვის საქმე. ჟურნალისტი – Azel.tv-ს მთავარი რედაქტორი თბილისში 3 აგვისტოს დააკავეს და მას შემდეგ გლდანის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფება. პროკურატურის ინფორმაციით, აზერბაიჯანში სადიგოვის წინააღმდეგ საქმე 2024 წლის 9 მაისს აღიძრა, 13 მაისს კი აზერბაიჯანულმა მხარემ საქართველოს ექსტრადაციის მოთხოვნით მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლომ აფგან სადიგოვს სამთვიანი საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა. აზერბაიჯანელი ჟურნალისტი საპატიმროში 21 სექტემბრიდან შიმშილობს. პროტესტის უკიდურეს ფორმას ჟურნალისტმა მას შემდეგ მიმართა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტმა საქართველოში საერთაშორისო დაცვაზე უარი უთხრა.[70]

აღსანიშნავია ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ადგილობრივი მედიის მიმართ განხორციელებული ზეწოლა, შანტაჟი და დაშინების ფაქტები. მათ შორის, საყურადღებოა გურიაში ადგილობრივი მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივმა ჟურნალისტმა მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის დატოვების შესახებ, მას შემდეგ, რაც მის ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ. ამავე მედია გამოცემის მიხედვით, ხელისუფლება იყენებს საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, მედიის კრიტიკული პოზიციების გამო, მისი შევიწროებისა და დევნისთვის.

[69] ონლაინ მედია პლატფორმა მაისი.ნიუსი
[70] ონლაინ მედია პლატფორმა მაისი.ნიუსი

კენჭისყრის დღე და შემდგომი პერიოდი

26 ოქტომბერს, კენჭსყრის დღე მძიმე და არსებითი დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. საარჩევნო პროცესის მონიტორინგისას გამოკვეთილი დარღვევები ერთიანი სქემის ნაწილი იყო, რომლის მიზანი არჩევნების საბოლოო შედეგის შეცვლა იყო. შემუშავებული იყო არჩევნების გაყალბების კომპლექსური სქემა, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა არჩევვნების შედეგებზე.

არჩევნების დღის სისტემური დარღვევები და საარჩევნო დავები

საარჩევნო პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს არჩევნების დღე წარმოადგენს. არჩევნების დღეს გამოვლენილი დარღვევები, წარდგენილი საჩივრები და მათზე რეაგირება უფლებამოსილი ორგანოების მიერ არსებით როლს ასრულებს არჩევნების მთელი პროცესის შეფასებაში. შესაბამისად, ნებისმიერი სადამკვირვებლო მისიის დანიშნულებაა დააკვირდეს არჩევნების დღეს ყველა ეტაპზე - საარჩევნო უბნების გახსნა, ხმის მიცემა, საარჩევნო უბნების დახურვა, ხმების დათვლა და შეჯამება - საარჩევნო პროცედურების მიმდინარეობას, გამოავლინოს დარღვევები და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ორგანოებში წარადგინოს საჩივრები.

მოცემულ თავში განხილულია არჩევნების დღეს გამოვლენილი სისტემური დარღვევები, მათი მასშტაბი, წარდგენილი საჩივრები და მათზე რეაგირება საარჩევნო ადმინისტრაციის და სასამართლოს მიერ.

სისტემური დარღვევები: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კენჭისყრის დღეს მთელი რიგი სისტემური დარღვევები გამოვლინდა, რასაც ადგილი არ ჰქონია მინიმუმ ბოლო ათწლეულის და მეტის განმავლობაში ჩატარებული არჩევნების დროს. დარღვევები იყო მძიმე ხასიათის და ხშირ შემთხვევაში ტენდენციური. დარღვევების მასშტაბურობა და სიხშირე შესაძლებელს ხდის ითქვას, რომ დარღვევებმა გავლენა ამომრჩეველთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე მოახდინეს. შესაბამისად, არჩევნების დღეს გამოვლენილმა დარღვევებმა გავლენა ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვაზე და ზოგადად, არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებაზე მოახდინეს. კერძოდ:

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „...პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“ არჩეული პარლამენტის წევრებისგან.[71] საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია „კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა“.[72] ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის“ თანახმად, ხმის მიცემის ფარულობა არის ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ხუთი პრინციპიდან ერთ-ერთი.[73] ხმის მიცემის ფარულობა არის არჩევნების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე და რომლის დაცვაც აუცილებელია დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად. ეს პრინციპი ასახულია ასევე საქართველოს კონსტიტუციაში და საარჩევნო კოდექსში. შესაბამისად, არჩევნების შეფასებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ის ფაქტი იყო თუ არა ხმის მიცემის ფარულობა დაცული.

26 ოქტომბრის არჩევნებზე ადგილი ჰქონდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას სხვადასხვა სახით, მაგალითად ორი ან მეტი ადამიანის ყოფნა ხმის მიცემის კაბინაში, მათ შორის, კომისიის წევრის შეყოლა კაბინაში; კომისიის წევრის მიერ ბიულეტენის მოთავსება ხმის მთვლელ აპარატში; ამომრჩევლის მიერ ბიულეტენისთვის ფოტოსურათის გადაღება; კაბინის გარეთ ხმის მიცემა. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის მსგავსი ფაქტები მთელ რიგ უბნებზე მრავალჯერად ხასიათს ატარებდა და მთელი დღის განმავლობაში ფიქსირდებოდა.

აღნიშნული ფაქტების გარდა, ყველაზე მასშტაბურ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას წარმოადგენდა ბიულეტენის უკანა მხრიდან მელნის გაჟონვა, რაც მარტივად შესაძლებელს ხდიდა აპარატში ბიულეტენის მოთავსებისას ამომრჩევლის ნების იდენტიფიცირებას საარჩევნო კომისიის წევრების მიერ. ამ დარღვევას ადგილი ჰქონდა ყველა საარჩევნო უბანზე, სადაც არჩევნები ელექტრონული ხმის მთვლელი აპარატის გამოყენებით ჩატარდა. დარღვევის სისტემატური და მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი დარღვეული იყო ყველა ამომრჩეველთან მიმართებაში, ვინც ხმა ელექტრონული ხმის მთვლელი აპარატით მისცა. შესაბამისად, მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია იმის დასადგენად, რომ ასეთ საარჩევნო უბნებზე არჩევნები სამართლიან და თავისუფალ გარემოში არ ჩატარებულა.

---

[71] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37, პუნქტი 2, 1995

[72] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3, 2011

[73] European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Code of Good Practice in Electoral Matters, 2002

დამკვირვებლის საქმიანობისთვის ხელის შეშლა

საარჩევნო პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვება მნიშვნელოვანია არჩევნების დემოკრატიულად, სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩასატარებლად. დამკვირვებლების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება ერთ-ერთი კრიტერიუმია არჩევნების შესაფასებლად. დამკვირვებელს უფლება აქვს შეუფერხებლად დააკვირდეს კენჭისყრის და ხმების დათვლის მთელ პროცესს, საარჩევნო კომისია ვალდებულია შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ დამკვირვებელმა განახორციელოს თავისი საქმიანობა.[74] დამკვირვებლის და მედიის წარმომადგენლის საქმიანობაში ჩარევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ადმინისტრაციული და/ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა დამკვირვებლების საქმიანობისთვის ხელის შეშლის უპრეცენდენტო მასშტაბი. აღნიშნული სხვადასხვა სახით ხორციელდებოდა, კერძოდ ადგილი ჰქონდა დამკვირვებლებზე ზეწოლას, ფიზიკურ თავდასხმას და სიტყვიერ შეურაცხყოფას, უმიზეზოდ უბნებიდან გაძევებას, მუქარას, დაკვირვების შესაძლებლობის შეზღუდვას. შესაბამისად, დამკვირვებლებს მძიმე პირობებში უწევდათ მუშაობა და ვერ ახერხებდნენ თავისი საქმიანობის სათანადოდ განხორციელებას, მათ შორის, საჩივრების წარდგენას და შენიშვნის დაფიქსირებას ჩანაწერთა წიგნში. შექმნილი მძიმე პრიობების გამო, დამკვირვებლის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში მათი ევაკუაციაც კი გახდა საჭირო.

ფიზიკური ძალადობა და მუქარა

მთელ რიგ უბნებზე დაფიქსირდა დამკვირვებლების მიმართ ფიზიკური ძალადობის და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარის ფაქტები. მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლის მიზნით, დამკვირვებლებს ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით, ასევე ადგილი ჰქონდა დამკვირვებლებზე თავდასხმას და მათ გამოძევებას საარჩევნო უბნიდან ფიზიკური ძალის გამოყენებით.

სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის სამიზნეს წარმოადგენდნენ ჟურნალისტებიც. თავდასხმის მიზანი ჟურნალისტების მიერ საარჩევნო პროცესში დარღვევების გამოვლენისათვის ხელშეშლა იყო.[75]

---

[74] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 41, 2011

[75] ჟურნალისტის საქმიანობისთვის ხელის შეშლა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 154.

ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი

მთელ რიგ უბნებზე ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა აღრიცხვას. მმართველი პარტიის ე.წ. კოორდინატორები მთელი დღის განმავლობაში ამომრჩეველთა სიებით იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნებთან და ამოწმებდნენ თუ ვინ გამოცხადდა ხმის მისაცემად. ასევე მმართველი პარტიის მიერ ხდებოდა სატრანსპორტო საშუალებებით ამომრჩეველთა მობილიზება. აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს ამომრჩეველთა ნების გამოვლენის კონტროლს, რაც უკანონოა და მიუთითებს იმაზე, რომ არ იყო უზრუნველყოფილი თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემო.

არაუფლებამოსილი პირები საარჩევნო უბნებთან

საარჩევნო უბნებთან და ასევე საარჩევნო უბნებზე იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები. ისინი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ ამომრჩევლების, დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების მიმართ, აკონტროლებდნენ და ზეწოლას ახდენდნენ ამომრჩევლებზე. ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ეს პირები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ჯგუფურად იყვნენ მობილიზებულები, მმართველი პარტიის სასარგებლოდ მოქმედებდნენ.

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესზე დაკვირვების შეუძლებლობა

ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ვალდებულია შეამოწმოს ამომრჩევლის ვინაობის და მას შემდეგ მისცეს ბიულეტენი, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში ფოტოსურათი ერთმანეთთან შესაბამისობაშია.[76] ეს პროცესი მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს უნდა მოხდეს არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემის გამორიცხვა, კერძოდ, სხვისი დოკუმენტით ხმის მიცემა. დამკვირვებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეუფერხებლად დააკვირდნენ რეგისტრატორების მიერ ამომრჩევლების იდენტიფიკაციის პროცესს. კენჭისყრის დღეს სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დამკვირვებლებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ დაკვირვებოდნენ ვერიფიკაციის პროცესს, რაც გამოწვეული იყო საარჩევნო უბანში მაგიდების განლაგებით ან სხვა მიზეზით.

[76] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 76[6] მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, 2011.

მარკირების პროცედურების დარღვევა

ამომრჩევლისთვის მარკირების შემოწმება და მარკირების გაკეთება ორი მნიშვნელოვანი პროცედურაა, რაც უზრუნველყოფს განმეორებითი ხმის მიცემის თავიდან არიდებას. ამიტომ, აუცილებელია ორივე პროცედურის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება. მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა მარკირების შემოწმების და გაკეთების პროცედურების დარღვევას, მარკირების სითხის/აპარატის გაუმართაობას.

განმეორებით ხმის მიცემა

გამოვლინდა ფაქტები, როდესაც გარკვეული პირები სხვისი დოკუმენტით/მონაცემებით აძლევდნენ ხმას. სისტემურ ხასიათს ატარებდა ისეთი ფაქტები, როდესაც საარჩევნო უბანზე მოსულ პირებს ჰქონდათ სხვა ამომრჩევლების პირადი ნომრები, რომელიც ფურცელზე დაწერილი მოთავსებული იყო პასპორტში. ამას წარუდგენდნენ რეგისტრატორებს, რომლებიც სხვისი პირადი ნომრით ატარებდნენ მათ რეგისტრაციაში და აძლევდნენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც სხვისი პირადობის მოწმობით ხდებოდა ხმის მიცემა. ამით აიხსნება ის თუ, რატომ ხდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პირადობის მოწმობების ჩამორთმევა, რისი მსხვერპლიც უმთავრესად სოციალურად დაუცველი მოქალაქეები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა ვერიფიკაციაზე დაკვირვების ხელშეშლა და მარკირების შემოწმების/გაკეთების დარღვევა, რაც მასიურად ფიქსირდებოდა კენჭისყრის დღეს და ხელს უწყობდა განმეორებით ხმის მიცემის მოცემული სქემის განხორციელებას.

განმეორებითი ხმის მიცემის ეს სქემა ცხადყოფს, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ თავად საარჩევნო კომისიის წევრები. ეს სქემა წინასწარ იყო შემუშავებული და როგორც უბანზე სხვისი პირადობის მოწმობით თუ პირადი ნომრით მისულმა პირმა იცოდა თუ რას აკეთებდა, ასევე საუბნო კომისიის წევრებმა იცოდნენ, რომ ასეთი ამომრჩევლისთვის უნდა მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

როგორ გახდა შესაძლებელი საუბნო კომისიის წევრების ჩართვა გაყალბების ასეთი სქემის განხორციელებაში?

წლების განმავლობაში მოქმედი წესის მიხედვით, საუბნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება წილისყრის წესით არჩევნების დღეს ხდებოდა. შესაბამისად, კენჭიყრის დღემდე უცნობი იყო ხოლმე რომელი კომისიის წევრი რომელ ფუნქციას შეასრულებდა, რაც ამცირებდა მათზე ზეგავლენის მოხდენის

შესაძლებლობას და მსგავსი სქემის მასშტაბურ განხორციელებას. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ცესკომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიუხედავად არაერთი კრიტიკისა, შეცვალა ეს წესი.[77] ახალი წესით, ფუნქციების განაწილება არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მოხდა, რამაც შესაძლებელი გახადა საუბნო კომისიის შესაბამის წევრებთან შეთანხმება და/ან მათზე ზეწოლა, რომ მონაწილეობა მიეღოთ გაყალბების სქემაში. ეს საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ თავად ცესკოც ჩართული იყო ამ სქემის შემუშავებაში ან სულ მცირე ხელი შეუწყო მის განხორციელებას თავისი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით.

აგიტაცია კომისიის წევრების მიერ

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია აგიტაცია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.[78] გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როცა საუბნო კომისიის წევრები მიუთითებდნენ ამომრჩევლებს თუ ვისთვის მიეცათ ხმა. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში აგიტაცია მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხდებოდა.

ამომრჩეველზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა

არჩევნების დღის განმავლობაში ბევრ საარჩევნო უბანზე გამოვლინდა ამომრჩეველზე ორი ბიულეტენის გაცემა და/ან საარჩევნო ყუთში მოთავსება.

გადასატან ყუთთან დაკავშირებული პრობლემები

სხვადასხვა სახის პრობლემები გამოვლინდა გადასატან ყუთთან დაკავშირებით თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც გადასატანი ყუთი დაულუქავი, დაზიანებული დაბრუნდა საარჩევნო უბანზე, ან იმაზე ნაკლები ბიულეტენებით ვიდრე უნდა ყოფილიყო.

[77] იხ. 32 გვ.
[78] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 11.

ე.წ. გონგო სადამკვირვებლო ორგანიზაციები

ეს არჩევნები გამოირჩეოდა გონგო ორგანიზაციების განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი დამკვირვებლებით.[79] ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ რომელი ორგანიზაციიდან აკვირდებოდნენ არჩევნებს. როგორც ცნობილი გახდა, მათ არ ჰქონდათ საარჩევნო ტრენინგი გავლილი, არ გამოუვლენიათ რაიმე დარღვევა და არ წარუდგენიათ საჩივრები. ისინი ხელს უშლიდნენ მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებს საქმიანობის განხორციელებაში, არეულობას ქმნიდნენ საარჩევნო უბნებზე, რომ დამკვირვებლებს არ გამოევლინათ დარღვევები და მარტივად მომხდარიყო არაუფლებამოსილი პირების მიერ საარჩევნო უბანზე შემოსვლა, იდენტიფიკაციის პროცესის გავლა, ბიულეტენის მიღება და ხმის მიცემა. შესაბამისად, გონგო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დანიშნულებას წარმოადგენდა ერთი მხრივ, მიუკერძოებელი დამკვირვებლებისთვის ხელშეშლა და მეორე მხრივ, საუბნო საარჩევნო კომისიისთვის და იმ პირებისთვის, რომლებიც სხვისი პირადობის დოკუმენტით ან პირადი ნომრით მიდიოდნენ საარჩევნო უბანზე გაყალბების განხორციელებაში ხელის შეწყობა.

საზღვარგარეთის უბნებთან დაკავშირებული პრობლემები

ცესკოს მიერ ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას, რაც გამოწვეული იყო საარჩევნო უბნების არ გახსნით იმ ქალაქებში, სადაც კონცენტრირებულად ცხოვრობენ საქართველოს მოქალაქეები, მიუხედავად მრავალი მოთხოვნისა.[80] ცესკოს გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლების დარღვევას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.[81]

გარდა ამისა, უშუალოდ კენჭისყრის დღეს, როცა საარჩევნო უბნებზე გამოცხადებულ ამომრჩევლებს დაბრკოლებები შეექმნათ. მათ უწევდათ საათობით რიგში დგომა, ვინაიდან საარჩევნო უბნები არ მუშაობდნენ სათანადოდ, არ იყო საკმარისი რეგისტრატორების რაოდენობა და ფართი საარჩევნო უბნებზე. ზოგი ამომრჩეველი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო და ვერ მოახერხა ხმის მიცემა. ადგილი

---

[79] მაგალითად, გრიგოლ გაგნიძის ორგანიზაციას „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ დარეგისტრირებული ჰყავდა 2491 დამკვირვებელი, ხოლო მისი მეუღლის ეკა აგლაძის ორგანიზაციას „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერი“ – 2654 დამკვირვებელი

[80] შედარებისთვის შეიძლება მოყვანილ იქნას მოლდოვის მაგალითი, სადაც 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მოლდოვამ 37 ქვეყანაში 228 საარჩევნო უბანი გახსნა საზღვარგარეთ (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,302,142 შეადგენდა), ხოლო საქართველომ 42 ქვეყანაში 60 საარჩევნო უბანი გახსნა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,508,294 შეადგენდა)

[81] 95,910 ამომრჩეველი რეგისტირებული იყო და შეეძლო ხმა მიეცა საზღვარგარეთ, თუმცა მხოლოდ 34,000 ამომრჩეველმა მოახერხა ხმის მიცემა

ჰქონდა სიებში ხარვეზებს, კერძოდ, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი ამომრჩევლები არ იყვნენ სიაში, რის გამოც ვერ მისცეს ხმა. სიებთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო აჭიანურებდა პროცესს. სივრცის ნაკლებობის გამო, საარჩევნო უბნებზე იქმნებოდა ქაოსი და დამკვირვებლები ვერ ახერხებდნენ პროცესზე დაკვირვებას.

მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციამ შეუქმნა საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს პრობლემები და დაბრკოლებები ხელოვნურად იყო შექმნილი, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოახერხებდნენ საზღვარგარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემას.

საარჩევნო დავები

ზემოაღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრები ძირითადად ეხებოდა არჩევნების ფუნდამენტურ პრინციპებს - ფარულობას და ნების თავისუფალ გამოხატვას. თუმცა ყველა საარჩევნო დავა სადამკვირვებლო მისიების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარით დასრულდა.

კოალიციამ „ჩემი ხმა“ 29 საარჩევნო ოლქში წარადგინა საჩივრები 246 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობის მოთხოვნით, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 417 305.[82] საოლქო საარჩევნო კომისიებმა, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა სადამკვირვებლო მისიის „ჩემი ხმა“ საჩივრები წარდგენილი მტკიცებულებების სათანადო და ობიექტური შესწავლის გარეშე, დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილეს.

სააპელაციო განხილვის ეტაპზე ქუთაისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა, ასობით საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობის თაობაზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანებით, დაარღვია საარჩევნო დავების განხილვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა თანახმად, საარჩევნო დავები სამართლიანმა სასამართლომ ეფექტიანად და მხარეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე უნდა განიხილოს.

სააპელაციო საჩივრები ეფუძნებოდა ხმის ფარულობის დარღვევას, დამკვირვებლებისათვის დაკვირვების პროცესში ხელშეშლას, საჩივრების რეგისტრაციაზე დამკვირვებლების მოთხოვნაზე უარს, ამომრჩეველზე ერთზე მეტი

[82] ინფორმაცია ხელმისაწდვომია ამ ბმულზე

ბიულეტენის გაცემას, ხმის რამდენჯერმე მიცემას, მარკირების წესების დარღვევას, სხვის მაგივრად ხმის მიცემას სხვისი პირადობის მოწმობის ან პირადი ნომრის გამოყენებით, საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნას და სხვა.

პრეზიდენტის საკონსტიტუციო სარჩელი

ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ფუძემდებლური პრინციპებია საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრა, რომლებიც ასახულია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში.

2024 წლის 26 ოქტრომბრის არჩევნებზე სისტემური დარღვევების ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არაკონსტიტუციურად ცნო და საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი 19 ნოემბერს შეიტანა.[83] არჩევნების საყოველთაობისა და ფარულობის პრინციპების დარღვევიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტი მოითხოვს არჩევნების მომწესრიგებელი სადავო ნორმებისა და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობას.[84] პარალელურად, მოქმედი პარლამენტის 30-მა ოპოზიციონერმა წევრმა საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე სარჩელით მიმართა არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით.[85]

საკონსტიტუციო სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა წარადგინეს.[86]

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო ორივე სარჩელი და თქვა, რომ სარჩელები არ იყო დასაბუთებული და მტკიცებულებებით გამყარებული:

> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ძირითადი უფლების შეზღუდვაზე მხოლოდ ზოგადად მითითება საკმარისი არ არის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისთვის. ამისთვის აუცილებელია, მოსარჩელემ წარმოადგინოს არგუმენტაცია, რომელიც, გარკვეული ხარისხით, მიუთითებს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე...”[87]

---

[83] პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდი
[84] პრეზიდენტის საკონსტიტუციო სარჩელი ხელმისაწვნოდია ამ ბმულზე
[85] საქართველოს პარლამენტის წევრების (თამარ კორძაია, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბოტკოველი და სხვები, სულ 30 წევრის) კონსტიტუციური სარჩელი
[86] საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი
[87] საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა გიორგი კვერენჩხილაძემ და თეიმურაზ ტუღუშმა განსხვავებული მოსაზრებები დააფიქსირეს, რომელთა მიხედვითაც წარმოადგინეს დასაბუთებული მოსაზრება არჩენების ძირებულ პრინციპებთან დაკავშირებით:

ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ფუძემდებლური პრინციპების დაცვა:

„დემოკრატიული, ხალხის ნების უზენაესობას დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის საკმარისი არ არის პერიოდული არჩევნების ფორმალურად გამართვა, არამედ აუცილებელია, იგი შეესაბამებოდეს არჩევნების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საარჩევნო პრინციპებს…”[88]

გიორგი კვერენჩხილაძე

კენჭისყრის ფარულობა:

„კენჭისყრის ფარულობა მიზნად ისახავს, დაიცვას ამომრჩევლის თვითგამორკვევის თავისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, მონაწილეობს ხალხის ერთიანი ნების ჩამოყალიბებასა და სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებაში. იმავდროულად, სწორედ ფარულობის პირობებში ეძლევა ამომრჩეველს შესაძლებლობა, გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად, გარე სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებისა თუ ჩარევისგან მაქსიმალურად თავისუფალ გარემოში…”

„…სწორედ კენჭისყრის ფარულობა ქმნის ფუნდამენტურ გარანტიას და მნიშვნელოვნად აზღვევს გადაწყვეტილების მიმღებ პირს მის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კენჭისყრის ფარულობის პრინციპი არის წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომლის გარეშეც საფრთხე ექმნება დემოკრატიული სახელმწიფოს არსსა და, შესაბამისად, არჩეული ხელისუფლების ლეგიტიმურობას.”

თეიმურაზ ტუღუში

საყოველთაობის პრინციპი:

„არჩევნების საყოველთაობის პრინციპის რეალიზებისათვის საკმარისი არ არის, ამომრჩეველს, საარჩევნო უბნის გახსნის გზით, ფორმალურად მიეცეს ხმის მიცემის საშუალება. ამავე დროს, აუცილებელია, რომ ამ უფლების რეალიზება მოხდეს გაუმართლებელი დაბრკოლებების გარეშე. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქმედითი

[88] მოსამართლის განსხვავებული აზრი ხელმისაწვდომია საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე

ზომები იმისათვის, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა პირმა შეძლოს ამ უფლების გამოყენება. ამომრჩეველთა ხმების ადეკვატური ასახვა მანდატებში ეფექტური დემოკრატიის დამახასიათებელი პრინციპია და, შესაბამისად, უპირველესი მნიშვნელობისაა. ხელისუფლებას იმიტომ მორჩილებენ, რომ ის საერთო, აღიარებული წესების მიხედვით მოიპოვებს გამარჯვებას. აღნიშნული უფლების სათანადო რეალიზაცია ქმნის მართვის გრძელვადიან პერსპექტივებს, სტაბილურ, ლეგიტიმურ და ეფექტიან დემოკრატიულ სისტემას…”[89]

თეიმურაზ ტუღუში

სარჩელების განუხილველად დატოვების გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაკარგა ისტორიული შესაძლებლობა დაეცვა დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტული პრინციპები და სამართლებრივი და პოლიტიკური კრიზისიდან გამოეყვანა ქვეყანა, განსხვავებით მოლდოვის და რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოებისაგან, რომლებაც ხელი შეუწყეს კონსტიტუციური სამართლებრივი წესრიგის დაცვას.

დასკვნა

შეჯამების სახით, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები არ იყო თავისუფალი და სამართლიანი. სანდო სადამკვირვებლო მისიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებისა და გამოვლენილი სისტემური დარღვევების მიხედვით, არჩევნების შედეგები არ ასახავს ამომრჩეველთა ნებას. დასაბუთებულ ვარაუდს აჩენს არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით.

„ჩემი ხმის“, საიას და „სამართლიანი არჩევნების” სადამკვირვებლო მისიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების და შეფასების მიხედვით, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ხასიათდებოდა სისტემური, ორგანიზებული დარღვევებით. სამივე სადამკვირვებლო მისიის მიერ დაფიქსირებული დარღვევების მასშტაბი და თანამიმდევრულობა ამყარებს დასკვნას, რომ არჩევნები გაყალბდა ამომრჩეველთა დაშინების, დაკვირვებისთვის ხელშეშლისა და ხმის მიცემის პროცედურების მანიპულაციის მეშვეობით. სამივე მისია ასკვნის, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ქართველი ამომრჩევლების ნების ჭეშმარიტი გამოხატულება და ვერ ჩაითვლება თავისუფლად და სამართლიანად.[90]

[89] მოსამართლის განსხვავებული აზრი ხელმისაწვდომია საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე
[90] შეფასება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე

2024
თბილისი